186
1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1979 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16363

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1979 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

73. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 18 ივნისის № 580 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

74. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 776 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

75. საქართველოს სს რესპუბლიკაში ერთიანი სპეციალიზებული აგროქიმიური სამსახურის შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

76. სატყეო მეურნეობის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

77. „საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 სექტემბრის № 488 დადგენილების მე-4 მუხლის დაზუსტების შესახებ.

78. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს დებულების შესახებ.

ბიბლიოთეკა სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

79. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.

80. ნ. ს. ტიხონოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

81. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

82. რესპუბლიკის ზოგადსაგნმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების პედაგოგიურ მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

83. „საქართველოს მხატვართა კავშირის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებებისა და მხატვართა შემოქმედებითი შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 21 ივნისის № 341 დადგენილებაში დამატებათა შეტანის შესახებ.

84. ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლებით ინვალიდების უზრუნველყოფის წესის ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის შესახებ.

85. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

86. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების და მათი ფილიალების შექმნის შესახებ.

87. საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ სახმომარაგება) დებულების დამტკიცების შესახებ. 43-39

88. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. ს. კეკელიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

89. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემის შემუშავების შესახებ.

90. საქართველოს სს რესპუბლიკაში მცენარეთა კარანტინის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

91. „საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 16 ოქტომბრის № 940 დადგენილების თაობაზე.

92. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერთათვის მაღალი ტიპის პანსიონატის შექმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

73 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 18 ივნისის № 580 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 18 ივნისის № 580 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 11 სექტემბერი, № 652.

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979
წლის 11 სექტემბრის № 652 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 18 ივნისის № 580 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 23 აპრილის № 359 დადგენილება „1947 წლის ნავიგაციის დროს ხე-ტყის დაცურების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 16 მარტის № 211 დადგენილება „1948 წლის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიგაციისათვის ხე-ტყის დაცურების მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 12 აგვისტოს № 911 დადგენილება „1948-1949 წლის სეზონში შემოდგომა-ზამთრის ხე-ტყის დამზადებისათვის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მომზადების ღონისძიებათა შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 24 მარტის № 283 დადგენილება „1949 წლის ნავიგაციის სეზონში ხე-ტყის დაცურების მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 20 მარტის № 342 დადგენილება „1952 წლის ნავიგაციის სეზონში ხე-ტყის დაცურების მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

74 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 776 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სოფელთან კავშირგაწყვეტილ პირთა მფლობელობაში არსებული სახლებითა და დამხმარე ნაგებობებით დაკავებული მიწის ფართობების აღრიცხვის მოწესრიგებისა და მათი გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 ივნისის № 400 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 776 დადგენილება „იმ პირთა საკარმიდამო ნაკვეთების შესახებ, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს სოფელთან“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. კოლბინი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 11 სექტემბერი, № 653.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ერთიანი სპეციალიზებული აგროქიმიური სამსახურის შექმნის შესახებ

„ჩვენს ქვეყანაში ერთიანი სპეციალიზებული აგროქიმიური სამსახურის შექმნის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 9 აგვისტოს № 765 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სპეციალიზებული აგროქიმიური მომსახურების ერთიანი სისტემის ორგანიზაციის მიზნით შეიქმნას სამეურნეო ანგარიშზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმია“.

აღნიშნული გაერთიანება შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მცენარეთა დაცვის სამმართველოს, საქსახსოფლტექნიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მომსახურების მთავარი სამმართველოს, სასუქებით, შხამქიმიკატებითა და სხვა ქიმიკატებით მომარაგების სამმართველოს, ტრანსპორტისა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქსახსოფლტექნიკის სხვა იმ ქვედანაყოფების ბაზაზე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის საკითხებს განაგებენ, ამასთან შესაბამისად შემცირდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქსახოფლტექნიკის ცენტრალური აპარატების მუშაკთა რიცხოვნობა და მათი შენახვის ხარჯები.

2. შეიქმნას სამეურნეო ანგარიშზე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების საწარმოო გაერთიანებანი, რესპუბლიკის რაიონებში — რაიონული (სარაიონთაშორისო) გაერთიანებანი, სამუშაოთა მოცულობისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ხოლო მეურნეობებში — ქიმიზაციის საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების (სამეურნეობათაშორისო) პუნქტები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქსახსოფლტექნიკასთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად განსაზღვროს, სამუშაოთა მოცულობისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების რაიონულ (სარაიონთაშორისო) გაერთიანებათა განლაგების სქემა და 10 დღის ვადაში წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების გაერთიანებანი („სოფლქიმია“) შეიქმნას საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ ავტონომიური რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკების სახსოფლტექნიკის კომიტეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოების, საქსახსოფლტექნიკის რაიონული გაერთიანებების (განყოფილებების) მმართველობის აპარატის შენახვისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის „სოფლქიმიის“ გაერთიანებანი, „სოფლქიმიის“ რაიონული (სარაიონთაშორისო) გაერთიანებანი და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეადგენენ გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ ერთიან სისტემას.

3. დაეკისროს რესპუბლიკურ საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანებას „საქსოფლქიმიას“ მთელი პასუხისმგებლობა მინერალური და ორგანული სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების, ნიადაგების მელიორანტების, საკვები დანამატების, ზრდის ხელშემწყობი ნივთიერებებისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის სხვა საშუალებების მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენებისათვის ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოში.

აქედან გამომდინარე, გაერთიანება „საქსოფლქიმია“ უზრუნველყოფს, რომ:

— მოამზადოს წინადადებანი სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის განვითარების პერსპექტივებზე, შეიმუშაოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტების ის ნაწილი, რომელიც სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას შეეხება, მათ შორის განსაზღვროს (შესაბამის გამოკვლევათა მონაცემების საფუძველზე) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე, მცენარეთა დაცვის ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებებზე, კირქვისა და თაბაშირშემცველ მასალებზე, საკვებ დანამატებზე, პოლიმერულ აფსკებსა და სხვა ქიმიურ პროდუქტებზე და მათს გამოსაყენებელ ტექნიკაზე, შეადგინოს ამ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მისაღებად კრებსითი განაცხადები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმომარაგების, „საკსოფლქიმიის“, აგრეთვე მიმწოდებელი სამინისტროებისა და უწყებებისათვის დადგენილი წესით წარსადგენად;

— მოამარაგოს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მინერალური სასუქებით, მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებებით, ნიადაგების მელიორანტებით, საკვები დანამატებით, აფსკებით, აგრეთვე სხვა ქიმიური პროდუქტებით საქართველოს სსრ სახმომარაგების მიერ განსაზღვრული ნომენკლატურის მიხედვით, მიამაგროს მომხმარებლები დამამზადებელ ქარხნებს და კონტროლი გაუწიოს მიწოდებული ქიმიური პროდუქციისათვის დროულად ანგარიშსწორებას, მათ შორის;

— ორგანიზაცია გაუწიოს ტორფის, ადგილობრივი კირქვისა და თაბაშირშემცველი მასალების მოპოვებას, შეასრულოს (მეურნეობებთან დადებულ ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრულებათა საფუძველზე) მიწების ნაყოფიერების გადიდებისა და ნიადაგების ქიმიური მელიორაციის, ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანის, სასუქების შერევის, ორგანული სასუქების მინდვრად გატანისა და ნიადაგში შეტანის, მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებებით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების დამუშავების და სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მომსახურების სამუშაოები;

— ხელმძღვანელობა გაუწიოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობას, უზრუნველყოს აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობისა და მცენარეთა დაცვის დარგში მეცნიერული კვლევის დასაბუთებული მიმართულება;

— განახორციელოს ღონისძიებანი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ქიმიზაციის სამეურნეო (სამეურნეობათაშორისო) პუნქტების შესაქმნელად, განავითაროს სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების საწყობების, ასაფრენ-დასაჯდომი ზოლების, აგროქიმიური და ბიოლოგიური ლაბორატორიების და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საწარმოო ბაზის სხვა ობიექტების ასაშენებლად;

— განახორციელოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ნიადაგობრივ-აგროქიმიური კვლევის კომპლექსი, აგრეთვე საკვებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის ანალიზი, მისცეს მეურნეობებს მიწათმოქმედებაში, მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში ქიმიზაციის საშუალებათა ეფექტიანი გამოყენების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შეისწავლოს და დანერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები აგროქიმიური მომსახურების დარგში, შეიმუშაოს და დანერგოს საქვეუწყებო ორგანიზაციებში აგროქიმიური მომსახურების მართვის ავტომატიზებული სისტემები და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები;

— ორგანიზაცია გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებათა დროულად განხორციელებას და სარეველებთან საბრძოლველად ქიმიურ საშუალებათა გამოყენებას, შეიმუშაოს და დანერგოს მცენარეთა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის პროგრესული ტექნოლოგიები და ეფექტიანი მეთოდები, თვალყური ადევნოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფიტოსანიტარიულ მდგომარეობას, გამოავლინოს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებელ-დაავადებების გაჩენა და განვითარება და უზრუნველყოს დროული სიგნალიზაცია მათ შესახებ;

— განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი ყველა მიწათმოსარგებლის მიერ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებელ-დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის რეკომენდებულ ღონისძიებათა შესრულებისადმი, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ამ სამუშაოთა შესრულების ხარისხისადმი, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ პესტიციდების გამოყენების დაწესებული რეგლამენტების დაცვისადმი, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, ნიადაგში, წყლის წყაროებსა და გარემოს სხვა ობიექტებში დაწესებული უსაფრთხოების ნორმების გადამეტებით შხამქიმიკატების დაგროვების თავიდან აცილებას;

— კონტროლი გაუწიოს სოფლის მეურნეობისათვის ქიმიზაციის საშუალებათა ხარისხიანად და დროულად მიწოდებას, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მათი გამოყენების აღრიცხვისა და ანგარიშგების უტყუარობას, სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოების მიერ მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე აგროქიმიურ სამუშაოთა განხორციელებას, აგრეთვე პესტიციდებითა და სასუქებით გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულებას ყველა მიწათმოსარგებლის მიერ;

— ორგანიზაცია გაუწიოს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მცენარეთა დაცვის სპეციალისტებისა და მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადება-გადამზადებას.

4. შეუნარჩუნდეთ საქსახსოფლტექნიკის სისტემის ორგანიზაციებს ამჟამად მათზე დაკისრებული შემდეგი ფუნქციები:

— განახორციელონ კულტურტექნიკური სამუშაოები მიწებზე, რომლებიც დაშრობას არ საჭიროებენ, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების, წყალშემაკავებელი ზვინულების, აგრეთვე გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის, მიწების პლანტაჟისა და მოშანდაკების, ქვების აღების, მთის ფერდობების დატერასების სამუშაოები, კოლმეურნეობების სრული საწარმოო მომსახურება რესპუბლიკის მთიან რაიონებში;

— მოამარაგონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მანქანა-ტრაქტორთა პარკის მომსახურებისათვის საჭირო პოლიმერული და ლაქსაღებავი მასალებითა და ქიმიკატებით, აგრეთვე აგროქიმიურ სამუშაოთა განხორციელებისათვის გაუთვალისწინებელი სხვა ქიმიური პროდუქციით.

5. დამტკიცდეს რესპუბლიკაში ერთიანი აგროქიმიური სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, № 1 დანართის თანახმად.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქსახსოფლტექნიკამ გადასცენ უშუალო დაქვემდებარებაში რესპუბლიკურ საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანებას „საქსოფლქიმიას“ ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში, № 2 დანართის თანახმად.

7. „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ტორფის წარმოების გადიდების, ტორფის საბადოების კომპლექსური და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის № 580 დადგენილების შესრულება დაეკისროთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლქიმიას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს წლიურ და ხუთწლიან გეგმებში რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ სისტემის ორგანიზაციათა კაპიტალური დაბანდებანი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და სხვა მაჩვენებლები ცალკე სტრიქონად;

— გაითვალისწინოს, მოყოლებული 1981 წლიდან, გეგმათა პროექტებში სატვირთო ავტომობილების (მათ შორის დიდი გამავლობის), ავტომობილის სალტეებისა და მოწყობილობის გამოყოფა რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ სისტემის სპეციალიზებული ავტომეურნეობებისათვის იმ ოდენობით, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის სამუშაოთა განხორციელებისას გამოყენებული ტვირთების დროულად გადაზიდვის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და სპეციალური მოწყობილობის და მათი სათადარიგო ნაწილების გამოყოფა.

9. საქსახსოფლტექნიკამ უზრუნველყოს რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქიმიზაციის პუნქტების ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების დროულად და ხარისხიანად განხორციელება, აგრეთვე ამ ტექნიკისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების გამოყოფა.

10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ სოფლის მეურნეობაში ავიაციის ფართოდ გამოყენების კონკრეტული პროგრამა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების გათვალისწინებით და მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკურ საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანებას „საქსოფლქიმიას“ შეისწავლონ რესპუბლიკაში ბიცობიანი და მჟავე ნიადაგების გათაბაშირიანებისა და გაკირიანების სამუშაოთა გაფართოებისა და ძირეული გაუმჯობესების საკითხი, შეიმუშაონ კონკრეტული პროგრამა, რაც უზრუნველყოფს მეთერთმეტე ხუთწლედში ბიცობიანი და მჟავე ნიადაგების ნაყოფიერების ხარისხობრივ გაუმჯობესებას ქიმიური მელიორანტების მოპოვების შესაბამისი გაფართოების ბაზაზე, და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის ქიმიზაციის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქსახსოფლტექნიკამ, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ რესპუბლიკის ერთიანი აგროქიმიური სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების ორგანიზებულად განხორციელება, ახალი ორგანოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაცემა და მათი დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით.

13. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „ჩვენს ქვეყანაში ერთიანი სპეციალიზებული აგროქიმიური სამსახურის შექმნის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 9 აგვისტოს № 765 დადგენილებით:

ა) შენარჩუნებულია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების, აგრეთვე გაერთიანება „საკსოფლქიმიის“ სისტემაში გადაცემული მცენარეთა დაცვის სახელმწიფო სამსახურის ორგანიზაციების დაფინანსების მოქმედი წესი;

ბ) გაერთიანება „საკსოფლქიმიის“ სისტემის ორგანიზაციებზე, რომლებიც ეწევიან მინერალური სასუქების რეალიზაციას, გავრცელდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 ივნისის № 589 დადგენილების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ასეთი სასუქების ფასთა სხვაობის ანაზღაურების წესი;

გ) დაწესდა, რომ მუშაკებს, რომელთაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი და უშუალოდ არიან დასაქმებული გაერთიანება „საკსოფლქიმიის“ და მოკავშირე რესპუბლიკების „სოფლქიმიის“ გაერთიანებათა მმართველობის აპარატში, ანაზღაურება (დანამატი) სამეცნიერო ხარისხისათვის არ მიეცემათ;

დ) გაერთიანება „საკსოფლქიმიაზე“ გავრცელდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულების მოქმედება;

ე) დაწესდა, რომ გაერთიანება „საკსოფლქიმიის“ მიმართ ზემოაღნიშნული ზოგადი დებულების გამოყენების თავისებურებებს დაამტკიცებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

14. ამ დადგენილების გათვალისწინებულ ვადებში უცილობლივ შესრულების უზრუნველსაყოფად შეიქმნას მთავრობის კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ზ. ბ. გელდიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ფ. ა. ანანიაშვილი, შ. მ. ეცადაშვილი, ლ. ლ. ზაქაიძე, ა. ი. კიკნაველიძე, ვ. ა. პატეიშვილი, დ. ე. სარიშვილი, და დაეკისროს მას პასუხისმგებლობა ამ დადგენილების № 1 დანართის შესაბამისად შექმნილი მიმღებ-ჩამბარებელი კომისიის მასალების დროულად წარდგენის, განხილვისა და დამტკიცებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები და სატრანსპორტო ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, გამოშვებული სასუქებისა და ქიმიზაციის სხვა საშუალებათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მათი დანაკარგების შემცირებისათვის და ამ საფუძველზე მიაღწევენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომ ზრდასა და მთლიანი მოსავლის გადიდებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 18 სექტემბერი, № 680.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

76 სატყეო მეურნეობის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს სსრ ტყის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1978 წლის 21 დეკემბრის კანონის მესამე მუხლის შესაბამისად და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 3 სექტემბერი, № 611.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 3 სექტემბრის № 611
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს საქართველოს სსრ ტყის კოდექსის დამტკიცებასთან და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 4 იანვრის № 13 დადგენილება „ამიერკავკასიის სატყეო სატექნიკო ინსტიტუტისათვის და თბილისის სატყეო-სატრანსპორტო ტექნიკუმისათვის გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემული ტყის ფართობებიდან მიღებული სატყეო შემოსავლის გამოყენების წესის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., № 14, მუხ. 77).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 26 თებერვლის № 129 დადგენილება „ადგილობრივი მრეწველობის სისტემის სატყეო მრეწველობის საწარმოთათვის სახელმწიფო. ტყეებიდან თვითდამზადებისათვის გაცემული ზემდგარი ტყის ფასის გადახდის წესის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., № 7 მუხ. 39).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 9 აგვისტოს № 947 დადგენილება „თბილისის საქალაქო საბჭოს შუამდგომლობის გამო მის გამგებლობაში ბეთანიის სატყეო აგარაკის გადაცემის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1936 წ., № 23, მუხ. 134).

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 22 სექტემბრის № 1173 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ტყის ნაკვეთებიდან გამოსაყენებელი მერქნის სამორე სასყიდლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1936 წ. № 26, მუხლი 154).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 19 აგვისტოს № 1411 დადგენილება, „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი ჯიშის მერქნის ნედლეული რესურსების შენარჩუნებისა და სწორი ექსპლუატაციის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1938 წ., № 5, მუხლი 16).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 10 იანვრის № 45 დადგენილება „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ადგილობრივ და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაცემ ტყეების, სატყეო მეურნეობის და სხვა საწარმოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

(საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1941 წ., № 5, მუხლი 25).

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 10 თებერვლის № 192 დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან სატყეო-საცდელი სადგურის მოწყობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1941 წ. № 9, მუხლი 47).

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 22 მაისის № 942 დადგენილების „თუთის ხის ნარგავების მოჭრის აკრძალვის შესახებ“ მე-5 და მე-6 პუნქტები.

(საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1941 წ., № 19, მუხლი 116).

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 10 იანვრის № 63 დადგენილება „ტყის დაცვის მუშაკთა მიერ სატყეო მიწის ნაკვეთებით სარგებლობის შემოწმების შესახებ“.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 9 თებერვლის № 268 დადგენილება „1942 წლის ტყესაკაფი ფონდისა და საქართველოს სსრ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა შორის მისი განაწილების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 1 აპრილის № 537 დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და საქართველოს კპ(ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის შუამდგომლობა ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამხრეთ ოსეთის საოლქო სატყეო მეურნეობის გამგებლობისათვის გადაცემის შესახებ“.

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 3 მარტის № 190 დადგენილება „საკურორტო ტყეების სანიტარიული გაწმენდის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

13. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 16 მაისის № 498 დადგენილების „1944 წლის ზაფხულის პერიოდში ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ პირველი და მე-4 პუნქტები.

14. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 9 აგვისტოს № 971 დადგენილება „მეჩხერიან სატყეო ნაკვეთებზე ხე-ტყის მოჭრის აკრძალვის შესახებ“.

15. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 24 აგვისტოს № 1044 დადგენილება „საკავშირო მნიშვნელობის ტყეებში ძირეული ხე-ტყის გაცემის წესების საქართველოს სსრ ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეებზე გავრცელების შესახებ“.

16. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 3 ოქტომბრის № 1267 დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სატყეო-კულტურული და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 13 დეკემბრის № 1644 დადგენილების „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტყესაკაფი ფონდის განაწილების 1946 წლის გეგმის შესახებ".

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 13 დეკემბრის № 1645 დადგენილება „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ხაზით ტყესაკაფი ფონდის განაწილების 1946 წლის გეგმის შესახებ".

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 24 ივლისის № 574 დადგენილება „საქართველოს სსრ ტყეებიდან კოლმეურნეობებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძირზე გასაცემი მერქნის დიფერენცირებული ნიხრის შესახებ".

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 7 იანვრის № 7 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ხაზით ტყესაკაფის ფონდის განაწილების გეგმის შესახებ".

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 14 იანვრის № 34 დადგენილება „ვენახებისათვის ბოძების, სარებისა და ჭიგოების დამზადების შესახებ".

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის № 95 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 25 დეკემბრის № 1460 დადგენილების საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების მუშებზე გავრცელების შესახებ".

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 თებერვლის № 119 დადგენილება „ვენახებისათვის ბოძების, სარებისა და ჭიგოების დამზადების შესახებ".

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 აპრილის № 351 დადგენილების „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1948 წლის ტყესაკაფის ფონდის შესახებ" მე-5 და მე-9 პუნქტები.

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 25 მაისის № 541 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების მთავარ სამმართველოსა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო ნაკრძალების დებულების დამტკიცების შესახებ".

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 1 ივნისის № 575 დადგენილება „1948 წელს ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ" მე-11 პუნქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 ივლისის № 874 დადგენილების „საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 22 აგვისტოს № 1062 დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა პროდუქციის ფასების შესახებ“.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 თებერვლის № 223 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო სატყეო ფონდის ტყეების სატყეო-სანიხრო ზონებისა და ნიხრის თანრიგების მიხედვით განაწილების შეცვლის შესახებ“.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 მაისის № 527 დადგენილება „საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ტყეებიდან ძირზე გასაცემი მერქნის ნიხრის შესახებ“.

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 27 ივნისის № 760 დადგენილების „1950 წელს სატყეო შემოსავლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ მე-2 პუნქტი.

32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 დეკემბრის № 1756 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებიდან ძირზე გასაცემი მეორეხარისხოვანი სატყეო მასალებისა და ადგილობრივი ტყის ჯიშის მერქნის ნიხრის შესახებ“.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 1 ივლისის № 979 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოტანილი მრგვალი ხეტყისა და ხერხილი მასალის საბითუმო ფასების შესახებ“.

34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 24 მარტის № 458 დადგენილება „ვენახებისათვის საჭირო მუხის ბოძებისა და სარების გასაცემი ფასების შესახებ“.

35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 30 დადგენილების „ტყეების ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დაყოფისა და ტყის ჭრის წესების შესახებ საქართველოს სსრ ტყეებში“ პირველი პუნქტი.

36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აპრილის № 253 დადგენილების „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები და ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში მიწერილი სამონადირეო სავარგულების შესახებ. დანართი № 2.

37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 16 სექტემბრის № 518 დადგენილება „საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

38. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 იანვრის № 53 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყალმცურავი, ველის, ჭაობისა და ტყის ნადირზე ნადირობის ვადების შემცირების შესახებ“.

39. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 15 ივნისის № 380 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სატყეო მეურნეობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს დებულების შესახებ“.

40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 557 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

41. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 606 დადგენილება „საქართველოს სსრ-ში სამონადირეო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ მე-2 და მე-19 პუნქტები.

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 24 ივნისის № 401 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს დებულების ცვლილებათა შესახებ“.

43. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 161 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 606 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“.

44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 702 დადგენილების „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის წარმოების გაძღოლის გაუმჯობესებისათვის შემდგომი ზომების შესახებ“ მე-3 პუნქტი.

45. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 აგვისტოს № 505 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსათვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ“.

46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 17 სექტემბრის № 604 დადგენილებით დამტკიცებული № 2 ნუსხის „ცვლილებებისა, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 3 ივნისის № 612 დადგენილებასთან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებასთან დაკავშირებით“ მე-2 პუნქტი.

47. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 30 სექტემბრის № 618 დადგენილების „საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების“ და „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების დებულების დამატების შესახებ“ მე-2 პუნქტი.

48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 9 იანვრის № 14 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

49. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 227 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 11 ივნისის № 306 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დებულებაში დამატების შეტანის შესახებ".

---

77 „საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 სექტემბრის № 488 დადგენილების მე-4 მუხლის დაზუსტების შესახებ

7D363

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 სექტემბრის № 483 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო რესპუბლიკისადმი დაქვემდებარებული სახალხო დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო ორგანოების მუშაობას ხელმძღვანელობს უშუალოდ, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა, ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისისადმი დაქვემდებარებულ სახალხო დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებების მუშაობას — როგორც წესი, შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისისა და ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებების მეშვეობით და წარმართავს ფინანსთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების საქმიანობას"

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 7 სექტემბერი, № 618.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 14 სექტემბერი, № 634.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 14 სექტემბრის № 634
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს შესახებ

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველო იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 150-ე მუხლის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ემორჩილება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს.

2. პროფტექგანათლების სამმართველო არის სახელმწიფო მმართველობის დარგობრივი ორგანო, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ხელმძღვანელობას ქ. თბილისში პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი.

პროფტექნიკური განათლების სამმართველო პასუხს აგებს თბილისის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდის ხარისხისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. პროფტექგანათლების სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

— დედაქალაქის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება პროფტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე;

— პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო წლის დამთავრების, გამოსაშვები და საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზაცია;

— ახალი სასწავლო წლისათვის თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დროულად მომზადება;

— პროფტექსასწავლებლების მოსწავლეების საწარმოო პრაქტიკის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა;

— თბილისის პროფტექსასწავლებლების სასწავლო მატერიალური ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის შეუნელებელი ზრუნვა;

— პროფტექსასწავლებლებში ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდის საქმეში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა;

— საშუალო განათლების მქონე მუშა კადრების მომზადებაზე პროფტექსასწავლებლების სრული და გეგმიანი გადასვლის უზრუნველყოფა;

— დედაქალაქის სახალხო მეურნეობის პირველი რიგის გასაშვები ობიექტებისათვის კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების უზრუნველყოფა.

4. პროფტექგანათლების სამმართველო ახორციელებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, მშრომელთა კომიტეტებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

5. პროფტექგანათლების სამმართველო ახორციელებს თბილისის შესაბამის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციას პროფტექნიკური განათლების საკითხებში და. მათთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ასამაღლებლად.

6. პროფტექგანათლების სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებით, განკარგულებებით, პროფტექგანათლების სამმართველოს საქმიანობის საკითხებზე ზემდგომი ორგანოების ბრძანებებით, ინსტრუქციებით, მითითებებით და ამ დებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის პროფტექგანათლების სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— ახორციელებს პროფტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებს;

— ეწევა პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებასა და დანერგვას;

— ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად ახორციელებს კონტროლს იმ პირობების დაცვისა და ღონისძიებების შესრულებისადმი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფტექსასწავლებლებში ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებას;

— უზრუნველყოფს დადგენილი წესით ოლიმპიადების, სპარტაკიადების, შეჯიბრებებისა და სწავლა-აღზრდის სხვა ღონისძიებების განხორციელებას თბილისის პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შორის;

— ეწევა მუშაობას თბილისის პროფტექსასწავლებლებისათვის მასწავლებელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა, აღმზრდელთა და პროფტექსასწავლებლების სხვა მუშაკთა შერჩევის, განაწილებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

— შეიმუშავებს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტში განსახილველად წარმოადგენს ღონისძიებებს სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, კონტროლს უწევს სახელმძღვანელოებით, პროგრამებით, სასწავლო გეგმებით, სასწავლო თვალსაჩინო საშუალებებით და მოწყობილობებით სასწავლებლების უზრუნველყოფის საქმეს;

— საჭირო შემთხვევაში აუქმებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორების განკარგულებებს;

— წარადგენს წინადადებებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით პროფტექსასწავლებლების დირექტორების დანიშვნის და განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ნიშნავს, გადაჰყავს და ათავისუფლებს სხვა მუშაკებს დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად.

8. პროფტექგანათლების სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი. სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს და ათავისუფლებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, რაც შემდეგ უნდა დამტკიცდეს საქალაქო საბჭოს სესიაზე.

9. პროფტექგანათლების სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი კომიტეტი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

10. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პროფტექგანათლების სამმართველოს უფროსი:

— ხელმძღვანელობს სამმართველოს საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას;

— საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიას განსახილველად შეაქვს პროფტექგანათლების საკითხებზე გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები და დადგენილებები;

— ახორციელებს კონტროლს თბილისის საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების იმ გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი, რომლებიც პროფტექნიკურ განათლებას შეეხება;

— დაწესებულ ვადებში პასუხს გასცემს დეპუტატების შეკითხვებს, განიხილავს საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებს, ატყობინებს მათ განხილვის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ;

— მონაწილეობს ან გზავნის სამმართველოს წარმომადგენელს საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომებზე;

— სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების აქტების საფუძველზე და მათს შესასრულებლად;

— ახორციელებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს, იღებს საჭირო ზომებს მათ გამო;

— დადგენილი წესით მიიღებს სამუშაოდ და დაითხოვს სამმართველოს მუშაკებს ნომენკლატურის მიხედვით;

— ადგენს სამმართველოს მუშაობის კვარტალურ და წლიურ გეგმებსა და ანგარიშებს, წარუდგენს მათ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტს:

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პროფტექნიკური განათლების სამმართველოსთან იქმნება სათათბირო ორგანო — პროფტექგანათლების საბჭო პროფტექგანათლების მუშაკთა და საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით. პროფტექგანათლების საბჭო მონაწილეობას იღებს პროფტექნიკური განათლების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პროფტექნიკური განათლების სამმართველო იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

12. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პროფტექგანათლების სამმართველოს აქვს მრგვალი ბეჭედი საქართველოს სსრ გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდებით.

---

79 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დანართში ჩამოთვლილ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და ცალკეულ უწყებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან, ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„111. ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა“.

საქაროველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 14 სექტემბერი, № 636.

80 ნ. ს. ტიხონოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირის წინადადება გამოჩენილი საბჭოთა პოეტის ნიკოლოზ სიმონის ძე ტიხონოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამ მიზნით:

— მიეკუთვნოს ნ. ტიხონოვის სახელი თბილისის № 43 საშუალო სკოლას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს ნ. ტიხონოვის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— დაევალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დააწესოს ფილოლოგიის ფაკულტეტზე ნ. ტიხონოვის სახელობის ერთი სტიპენდია მისთვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 20 სექტემბერი, № 650.

81 საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს შესახებ.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს აპარატის მუშაკებს შრომა აუნაზღაურდებათ გეოლოგიის სამმართველოების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების სქემების მიხედვით.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1960 წლის 4 თებერვლის № 115/5 დადგენილებით დამტკიცებული ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე გეოლოგიური ორგანიზაციების მიკუთვნებისათვის საჭირო მაჩვენებლების შესაბამისად საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო შრომის ანაზღაურების მხრივ მიეკუთვნოს პირველ ჯგუფს.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 16 მარტის № 143 და 1971 წლის 21 აპრილის № 206 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 24 სექტემბერი, № 658.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 24 სექტემბრის № 658 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო არის საკავშირო-რესპუბლიკური სამმართველო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს.

2. გეოლოგიის სამმართველო წარმოადგენს ერთიან საწარმოო-სამეურნეო კომპლექსს, რომელიც ახორციელებს წიაღის გეგმაზომიერ შესწავლას, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძიებასა და დაზვერვას, სპეციალიზებულ გეოლოგიურ გამოკვლევებს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მინერალური ნედლეულის დაზვერილი მარაგით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრული უზრუნველყოფის მიზნით. გეოლოგიის სამმართველოს საქმიანობას საფუძვლად უდევს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონის ამაღლება, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამება თვით სამმართველოს სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან.

3. გეოლოგიის სამმართველო თავის მუშაობას წარმართავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეოლოგიის საწარმოო გაერთიანების დებულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად (24-26, 130-136 პუნქტების გარდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გეოლოგიის სამმართველოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და არის იურიდიული პირი.

5. გეოლოგიის სამმართველოს შემადგენლობაში შედიან ექსპედიციები, პარტიები, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და სხვა საწარმოო ერთეულები, რომლებზეც არ ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების მოქმედება.

საწარმოო ერთეულებს ქმნის გეოლოგიის სამმართველო.

ცალკეულ შემთხვევებში გეოლოგიის სამმართველოს უფროსის გადაწყვეტილებით, რომელიც შეუთანხმდება სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, სამმართველოს შეიძლება დაექვემდებაროს დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით.

6. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

გეგმაზომიერად შეისწავლოს წიაღი და განახორციელოს სპეციალიზებული გეოლოგიური გამოკვლევები (რეგიონალური, გეოლოგიურ-აგეგმვითი, გეოფიზიკური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და სხვ.);

განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძიება და დაზვერვა მინერალური ნედლეულის დაზვერილ მარაგზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის მიზნით;

შეასრულოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ზრდის სახელმწიფო გეგმები და დაამტკიცოს სსრ კავშირის სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიასა და ტერიტორიულ კომისიაში სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგი და სხვა გეოლოგიური დავალებანი და მაჩვენებლები;

აამაღლოს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ეფექტიანობა, გააუმჯობესოს მათი ხარისხი და მიღებული გეოლოგიური შედეგების უტყუარობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენების, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა პერსპექტიულობით მეცნიერული პროგნოზირების, საძიებო და სადაზვერვო სამუშაოთა მეთოდიკების სრულყოფის, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მეთოდებისა და სახეობების ყველაზე რაციონალური კომპლექსირების, აგრეთვე საბადოთა დაზვერვის ვადების შემცირების საფუძველზე;

ყოველმხრივ გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და შეამციროს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ღირებულება გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განხორციელების პროგრესული მეთოდების, შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების დანერგვის, გამოყენებული ტექნიკის, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე;

სრულყოს დაგეგმვა, მართვა, დანერგოს სამეურნეო ანგარიში, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია, აამაღლოს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების როლი და უფრო ფართოდ გამოიყენოს გამოთვლითი ტექნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისა და კავშირგაბმულობის სამუალებანი გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მართვაში;

რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი, ძირითადი ფონდები, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები;

გააუმჯობესოს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყოს შრომის ყველაზე ხელშემწყობი და უსაფრთხო პირობები;

ყოველმხრივ განავითაროს სოციალისტური შეჯიბრება, უზრუნველყოს გეოლოგიის სამმართველოს ორგანიზაციათა კოლექტივების ფართო მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

7. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო დაგეგმვისა და დაპროექტების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ,კადრების, შრომისა და ხელფასის, ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში საწარმოო გეოლოგიური გაერთიანების დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებასთან ერთად:

შეიმუშავებს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით საქართველოს სსრ მინერალური ნედლეულის ბაზის განვითარების ძირითად მიმართულებებს, სამმართველოს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს;

განახორციელებს როგორც სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო გეოლოგიურ კონტროლს წიაღის გეოლოგიური შესწავლის იმ სამუშაოთა წარმოებისადმი, რომელთაც ასრულებენ ორგანიზაციები და საწარმოები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

უზრუნველყოფს სახელმწიფო კონტროლს გამოფიტვისა და გაჭუჭყიანებისაგან მიწისქვეშა წყლების დაცვისადმი (ჰიდრომინერალური რესურსების გარდა), გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განხორციელებისას წიაღისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულებისადმი;

განახორციელებს დადგენილი წესით რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ორგანიზაციის (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) მიერ წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაციას;

დააყენებს ბანკის ორგანიზაციების წინაშე საკითხს იმის შესახებ, რომ დროებით შეაჩერონ დაფინანსება გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისა, რომლებიც რეგისტრირებული არაა დადგენილი წესით, სრულდება მათი განხორციელების წესების დარღვევით ან არ შეესაბამება საგეგმო დავალებებს;

განიხილავს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ცალკეულ სახეობათა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა წინასწარი დაზვერვის შედეგებს და განსაზღვრავს ამ საბადოთა დეტალური დაზვერვის მიზანშეწონილობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასცემს სხვა სამინისტროებსა და უწყებებს დადგენილი წესით საბადოებს მათი სამრეწველო ათვისებისათვის;

უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ტერიტორიულ კომისიაში სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგის დამტკიცებას იმ ორგანიზაციების გეოლოგიური ანგარიშების მიხედვით, რომლებიც ასრულებენ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

აღრიცხავს დაზვერილ მარაგს და შეადგენს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის საანგარიშგებო ბალანსებს, აწარმოებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა და გამოვლენათა სახელმწიფო კადასტრს, მიწისქვეშა წყლების აღრიცხვასა და კადასტრს;

უზრუნველყოფს ტერიტორიულ გეოლოგიურ ფონდში გეოლოგიური მასალების წარდგენის დადგენილი წესის შესრულებას, ცენტრალიზებულად შეინახავს და გამოიყენებს აღნიშნულ მასალებს;

კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიის გეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებულ ყველა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს;

მისცემს დაინტერესებულ ორგანიზაციებს დასკვნებს მომავალი განაშენიანების უბნების წიაღში სასარგებლო წიაღისეულის არარსებობის შესახებ;

გასცემს დადგენილი წესით ნებართვას წყლის საექსპლუატაციო და სადაზვერვო-საექსპლუატაციო ჭაბურღილების გასაბურღად და მიწისქვეშა წყლის ასაღებთა ასაშენებლად ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

განახორციელებს სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე წყლის ჭაბურღილების ბურღვისა და საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოების, სოფლისა და კომუნალური მეურნეობის წყალმომარაგებისათვის წყალასაწევი მოწყობილობის დადგმის სამუშაოებს;

გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განმხორციელებელ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეისწავლის ნედლეულის დაზვერილი მარაგით სამთომოპოვებითი მრეწველობის დარგების უზრუნველყოფის მდგომარეობას და მონაწილეობას მიიღებს მიმდინარე გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებაში.

8. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ბრძანებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში.

გეოლოგიის სამმართველო განაზოგადებს სამმართველოს სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფისათვის და დადგენილი წესით წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა შორის შრომის გეგმის განაწილებისას საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფლება აქვს თავის განკარგულებაში დაიტოვოს მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის რეზერვი 2 პროცენტის ოდენობით.

10. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსთან შეთანხმებით. მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს გეოლოგიის სამმართველოს უფროსი.

11. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი:

— წარმართავს სამმართველოს მუშაობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობისათვის;

— რწმუნებათა გარეშე მოქმედებს გეოლოგიის სამმართველოს სახელით, წარმოადგენს მას ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად, განაგებს სამმართველოსათვის მიჩენილ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს რწმუნებებს (მათ შორის რწმუნების გადაცემის უფლებით); ხსნის ბანკებში სამმართველოს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, სამუშაოზე მიიღებს და სამუშაოდან დაითხოვს მუშაკებს, გამოიყენებს წახალისების ღონისძიებებს და დაადებს მათ სასჯელს;

— გააუქმებს ექსპედიციების, პარტიებისა და სხვა საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, ან გასცემს შესრულებისათვის სავალდებულო მითითებებს მათი შეცვლის შესახებ;

— საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

12. გეოლოგიის სამმართველოში იქმნება კოლეგია სამმართველოს უფროსის (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეების აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

კოლეგიის წევრებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსთან შეთანხმებით.

13. გეოლოგიის სამმართველოს კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა, ,მათთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განვითარების ძირითად საკითხებს, ორგანიზაციის საქმიანობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკით-

ხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს და გეოლოგიის სამმართველოს მუშაობის სხვა საკითხებს.

გეოლოგიის სამმართველოს კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, სამმართველოს უფროსის ბრძანებებით. სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოებათა შემთხვევაში სამმართველოს უფროსი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წარმოქმნილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

14. გეოლოგიის სამმართველოს საქმიანობის გეოლოგიური, ტექნიკური და ეკონომიკური საკითხების განსახილველად, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვისათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად, აგრეთვე სამუშაოთა პროექტებისა და გეოლოგიური ანგარიშების განსახილველად სამმართველოში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით. სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას დაამტკიცებს სამმართველოს უფროსი.

15. გეოლოგიის სამმართველოში იქმნება სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ტერიტორიული კომისია და ტერიტორიული გეოლოგიური ფონდი.

16. გეოლოგიის სამმართველოს ცენტრალური აპარატის შენახვა ხორციელდება გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების ანგარიშში.

17. გეოლოგიის სამმართველოს აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსთან შეთანხმებით.

სამმართველოს ცენტრალური აპარატის საშტატი. განრიგს, აგრეთვე სამმართველოს განყოფილებათა დებულებებს დაამტკიცებს გეოლოგიის სამმართველოს უფროსი.

18. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

82 რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების პედაგოგიურ მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების პედაგოგიურ მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გაწეული მუშაობის მიუხედავად, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები სკოლების მუშაკთათვის ძალზე უმნიშვნელო რაოდენობის ბინებს გამოყოფენ.

ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა ადგილობრივი ორგანოები უყურადღებოდ ეკიდებიან მასწავლებელთა იმ თხოვნის გადაწყვეტას, რომ გაუწიონ მათ დახმარება საცხოვრებელი სადგომების რემონტისა და კეთილმოწყობის, სათბობისა და საშენი მასალების შეძენის საქმეში, გამოუყონ მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

საკმარისი ყურადღება არ ეთმობა მასწავლებელთა დასვენებისა და სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების პედაგოგიურ მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ზომები სოფლის მასწავლებელთა, აღმზრდელთა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორთა, დირექტორების მოადგილეთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახების წევრთა უფასო ბინებით, გათბობითა და განათებით უზრუნველსაყოფად.

2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

— უზრუნველყონ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს უცილობლივ გამოეყოთ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე, გარდა ქალაქებისა და მუშათა დაბების ტერიტორიებისა, სადაც ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა აკრძალულია საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებით;

— უზრუნველყონ დაწესებული ნორმების შესაბამისად საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის აღრიცხვაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების იმ მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პირველ რიგში აყვანა, რომლებიც კომუნალურ ბინებში ცხოვრობენ;

— დაუბრკოლებლად მიიღონ გადაწყვეტილებანი კოოპერატივში შესვლის მსურველ მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა, აგრეთვე მათი ოჯახების წევრთა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ორგანიზაციის შესახებ;

— გაუწიონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ მუშაკებს დახმარება ბინებისა და მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლების რემონტის ჩატარებაში საქალაქო და რაიონული სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით ბინის დამქირავებელთა შეკვეთების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოთ ცეკავშირის გამგეობასა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს უზრუნველყონ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს უპირატესად მიეყიდოთ საშენი და სხვა მასალები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი სადგომების რემონტისა და კეთილმოწყობისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების განაწილებით.

4. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ დააკმაყოფილოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა განაცხადები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განსახორციელებლად.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გამოუყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესაბამისად სოფლის სკოლების მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს, რომლებმაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლები დაამთავრეს და სოფლად მუშაობენ, კრედიტი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად 1.500 მანეთის ოდენობით 10 წლამდე ვადით იმ ვარაუდით, რომ მისი დაფარვა დაიწყოს მიღების შემდეგ მეხუთე წლიდან.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად, მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააუმჯობესონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა სამედიცინო, სანატორიულ-საკურორტო მომსახურება და დასვენების ორგანიზაცია, უზრუნველყონ რაც შეიძლება მეტი მასწავლებელი სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა საგზურებით არდადეგების პერიოდში, ყოველწლიურად გამოყონ მათთვის მიზნობრივი დანიშნულებით შეღავათიანი ტურისტულ-საექსკურსიო საგზურები, მოაწყონ სოფლის მასწავლებელთა ექსკურსიები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეღავათიანი პირობებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 სექტემბერი, № 667.

ეროვნული ბიბლიოთეკა

83 „საქართველოს მხატვართა კავშირის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებებისა და მხატვართა შემოქმედებითი შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 21 ივნისის № 341 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს „საქართველოს მხატვართა კავშირის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებებისა და მხატვართა შემოქმედებითი შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 21 ივნისის № 341 დადგენილების მე-2 პუნქტს ქვეპუნქტი „დ“ შემდეგი რედაქციით:

„დ) ნება დაერთოს საქართველოს მხატვართა კავშირს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაბამის დაწესებულებებთან შეთანხმების შემდეგ, ძველად აშენებულ საცხოვრებელ სახლებში არსებული სხვენები გამოიყენოს ფერმწერთა და გრაფიკოსთა შემოქმედებით სახელოსნოებად, იმ პირობით, რომ გადასაცემი სხვენის სახელოსნოდ გადაკეთების პროექტში დაცული იქნება ყველა ტექნიკური პირობა, არ დაირღვევა სახლის ფასადი და არ გაუარესდება მობინადრეთა საყოფაცხოვრებო პირობები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 27 სექტემბერი, № 671.

84 ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოციკლებით ინვალიდების უზრუნველყოფის წესის ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 აპრილის № 220 დადგენილებით დამტკიცებულ „ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოციკლებით ინვალიდების უზრუნველყოფის წესის ინსტრუქციაში“ და მისი 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„29. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებას ინვალიდისათვის ავტომობილის ან მოტოეტლის მიკუთვნების შესახებ შეტყობინების სახით უგზავნის სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას და აძლევს ავტომობილის ან მოტოეტლის საჭირო ფონდს.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება აღრიცხვაზე აიყვანს ინვალიდს, გამოუძახებს მას რიგის მიხედვით, მიატანინებს საჭირო საბუთებს და ჩააბარებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ ხელმოწერილ განკარგულებას ავტობაზიდან ავტომობილის ან მოტოეტლის მიღების შესახებ.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე უგზავნის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ცნობას ავტობაზიდან ინვალიდის მიერ ავტომობილის ან მოტოეტლის მიღების შესახებ. ცნობის ასლს დაურთავს ინვალიდის საპენსიო საქმეს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 27 სექტემბერი, № 672.

85 სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დებულება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისიის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაეგზავნოთ იგი სახელმძღვანელოდ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 27 სექტემბერი, № 674.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 27 სექტემბრის № 674
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისიის შესახებ

1. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისია ახორციელებს დროებით არმომუშავე და საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომითს მოწყობას ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

2. მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისია იქმნება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

კომისიის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე — სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებული; კომისიის წევრები — საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

3. მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისია მუშაობას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს მუდმივ კომისიებთან და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან შექმნილ სხვა კომისიებთან კონტაქტით, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს საქართველოს კპ საქალაქო, რაიონულ კომიტეტთან არსებული შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისია თავის საქმიანობაში ეძორჩილება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომს და პერიოდულად ანგარიშს აბარებს მას.

5. მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისია იწვევს სხდომებს საჭიროების კვალობაზე, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც, და იღებს გადაწყვეტილებებს იმ საკითხებზე, რომლებიც მისი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

6. მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით, ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

7. მოსახლეობის შრომიოი მოწყობის კომისიის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— შეისწავლოს საზოგადოებრივ მეურნეობაში დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის შემადგენლობა და შეიმუშაოს წინადადებანი საზოგადოებრივ მეურნეობაში მისი ჩაბმისათვის;

— სამუშაოდ მოაწყოს დროებით არამომუშავე მოსახლეობა და საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებული პირები;

— მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია მუშა-მოსამსახურეებზე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოთხოვნილების შესახებ;

— გაუწიოს პრაქტიკული დახმარება კადრებით დაკომპლექტებაში საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც განიცდიან მუშახელის ნაკლებობას, უწინარეს ყოვლისა საექსპლუატაციოდ გადასაცემ საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

— შეისწავლოს საწარმოებში, მშენებლობებზე და ორგანიზაციებში კადრების დენადობის მიზეზები, შეიმუშაოს წინადადებანი და რეკომენდაციები ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად.

8. მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისია მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს და წარუდგენს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დროებით არმომუშავე და საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულ შრომისუნარიანი ასაკის პირთა საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაბმას;

— შეისწავლის მუშათა კადრებით საწარმოთა და ორგანიზაციათა უზრუნველყოფის მდგომარეობას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, მიიღებს მათგან ცნობებს არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოავლენს საზოგადოებრივ წარმოებაში მოსახლეობის არასრული დასაქმების მიზეზებს, შეიმუშავებს წინადადებებს შრომის გამოყენების სფეროს გასაფართოებლად და დასაქმების დონის ამაღლების სხვა ღონისძიებებზე;

— გაუწევს უწინარეს ყოვლისა დახმარებას იმ ობიექტებს, რომლებსაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ მუშათა კადრები და საექსპლუატაციოდ უნდა გადაეცეს;

— შეისწავლის საწარმოებსა და ორგანიზაციებში კადრების დენადობის მიზეზებს, შეიმუშავებს ღონისძიებებს მისი შემცირების უზრუნველსაყოფად;

— განახორციელებს მოქალაქეთა მიღებას შრომითი მოწყობის საკითხებზე, ხელს შეუწყობს მათ სამუშაო ადგილის შერჩევაში სპეციალობის, საცხოვრებელი ადგილისა და მოქალაქეთა ინდივიდუალური სურვილების გათვალისწინებით, გაგზავნის სამუშაოდ დადგენილი წესით შრომის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით;

— განახორციელებს კონტროლს გაგზავნილ მოქალაქეთა შრომითი მოწყობისადმი;

— განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა ჩაბმას საზოგადოებრივ წარმოებაში;

— აღრიცხავს დადგენილი წესით მოსახლეობას, რომელიც მიმართავს შრომითი მოწყობის საკითხებზე, სისტემაში მოიყვანს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ცნობებს მუშა-მოსამსახურეებზე მოთხოვნილების შესახებ, გააანალიზებს საღრიცხვო და სტატისტიკურ მონაცემებს კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და ამის საფუძველზე შეიმუშავებს წინადადებებს ქალაქის, რაიონის შრომითი რესურსების გამოყენების გასაუმჯობესებლად;

— განიხილავს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სამუშაოდან დათხოვნილ მოქალაქეთა, აგრეთვე წლის განმავლობაში ორჯერ და მეტჯერ საკუთარი სურვილით დათხოვნილი მოქალაქეთა შრომით მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს; სახლის, ქუჩის კომიტეტებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად გამოავლენს და ჩააბამს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში პირებს, რომლებიც თავს არიდებენ მუშაობას;

— მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს კადრების საზოგადოებრივ განყოფილებებს საწარმოებში, ორგანიზაციებში, განაზოგადებს და გაავრცელებს მათი მუშაობის დადებითს გამოცდილებას;

— თავს მოუყრის ცნობებს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არსებული სასწავლო-საკურსო ქსელის შესახებ და ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ მოსახლეობას პროფესიული სწავლების შესაძლებლობის თაობაზე; მოაწყობს, სადაც ეს მიზანშეწონილია, მოსახლეობის პროფესიული კონსულტაციის საქალაქო (რაიონული) ცენტრების (კაბინეტების) საქმიანობას;

— სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის დავალებით მონაწილეობას მიიღებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების შესრულების მდგომარეობის შემოწმებათა განხორციელებაში;

— შეამოწმებს მუშათა კადრების გამოყენებას, მათს შენარჩუნებას საწარმოებში, ორგანიზაციებში, მისცემს მითითებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო საჭირო შემთხვევებში წარუდგენს შესაბამის წინადადებებს ზემდგომ ორგანოებს;

— მოისმენს სხდომებზე საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს მუშათა კადრების რაციონალური გამოყენების, შრომის კანონმდებლობის დაცვისა და სხვა საკითხებზე;

— შეიტანს აღმასკომის განსახილველად ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც შრომითი რესურსების გამოყენებას შეეხება.

9. კომისიის ტექნიკური მომსახურება ეკისრება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის აპარატს.

---

86 რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების და მათი ფილიალების შექმნს შესახებ

შრომითი რესურსების გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების, სახალხო მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფისა და შრომითი მოწყობის სამსახურის სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე ქალაქებში ცხინვალში, გორში, ჭიათურაში, ტყიბულში, წყალტუბოში, გაგრაში და ოჩამჩირის, ზესტაფონის, მახარაძის, სამტრედიის, თელავის, სიღნაღის, ხაშურის, ცხაკაიას, ახალციხის, მარნეულის რაიონულ ცენტრებში მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროები და ამ ბიუროების 53 ფილიალი ქალაქებსა და რაიონებში, იმ ვარაუდით, რომ დაეკისროთ მათ მუშახელის გადანაწილების, მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის საკითხთა მოგვარება.

2. მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების მუშაობის ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის, აგრეთვე მათი საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ცენტრალური ბიურო მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის საქალაქო და რაიონული ბიუროების მიერ ჩარიცხული სახსრების ხარჯზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულებანი მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების და ცენტრალური ბიუროს შესახებ;

— დაამტკიცოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ცენტრალური ბიუროს, საქალაქო და რაიონული ბიუროების და მათი ფილიალების საშტატო რიცხოვნობა, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები;

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინსტრუქცია მოსახლეობის შრომიოი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების მიერ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის გაწეული მომსახურებისათვის ანგარიშსწორების წესის შესახებ.

4. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების მიერ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის გაწეული მომსახურების მოქმედი ტარიფების გადასინჯვის შესახებ.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ დააწესონ მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ცენტრალური ბიუროს, საქალაქო და რაიონული ბიუროების და მათი ფილიალების შენახვის ზღვრული ასიგნებანი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ 1980 წელს გამოეყოს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს „მოსკვიჩის“ მარკის 5 მსუბუქი სპეციალური ავტომანქანა მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროებისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოთა საინფორმაციო-საცნობარო მასალები.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს გაუწიონ მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროებს ქმედითი და სისტემატური დახმარება მუშაობაში, გამოუყონ მათ შესაბამისი სამსახურებრივი სადგომები და შეუქმნან ნორმალური საქმიანობისათვის საჭირო ყველა პირობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 8 ოქტომბერი, № 684.

ეროვნული ბიბლიოთეკა

87 საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ სახმომარაგება) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ სახმომარაგება) შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 დეკემბრის № 635 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს (საქმთავარმომარაგება) დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ი. ანდრიაძე.

ქ. თბილისი, 1979 წ. 8 ოქტომბერი, № 685.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 8 ოქტომბრის № 685 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ სახმომარაგება) შესახებ

1. საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახმომარაგება) არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისადმი.

საქართველოს სსრ სახმომარაგება ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს და სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის საკითხებში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახმომარაგების მითითებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ სახმომარაგების მოავარი ამოცანები ის არის, რომ:

გაასაღოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდები; უზრუნველყოს მომხმარებლები პროდუქციით, რომლის განაწილება დაკისრებული აქვს სახმომარაგებას, აგრეთვე უზრუნველყოს სადარგთაშორისო კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმების შესრულება;

საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან, გაერთიანებებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, წარმოებაში, მშენებლობაში, გადაზიდვისა და შენახვის დროს ნედლეულისა და მასალების დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი; უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაციონალურად შენახვისა და გამოყენებისადმი;

განახორციელოს პროდუქციის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის ორგანიზაციის და ამასთან გრძელვადიან ხელშეკრულებათა საფუძველზე პირდაპირი ხანგრძლივი კავშირურთიერთობის ყოველმხრივი გაფართოების ღონისძიებანი, მოაწყოს საბითუმო ვაჭრობა პროდუქციის მიმწოდებელი საწარმოებისა და საბითუმო მაღაზიების მეშვეობით; განავითაროს წარმოების საშუალებათა გაქირავება და გაუწიოს მომსახურება მომხმარებლებს;

განახორციელოს კონტროლი მიმწოდებელთა მიერ მომხმარებელთათვის და საექსპორტოდ პროდუქციის მიწოდების გეგმების დროულად შესრულებისადმი;

გამოავლინოს და გაასაღოს ზედმეტი და გამოუყენებელი პროდუქცია და მასალებისა და მოწყობილობის ზენორმატიული ნაშთები საწარმოებში, გაერთიანებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

შეიმუშაოს და განახორციელოს რესპუბლიკაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემისა და ორგანოების სრულყოფის ღონისძიებანი; შექმნას პროდუქციის მიმწოდებელ გაერთიანებათა და ტარისა და მეორეული ნედლეულის საწარმოო გაერთიანებათა, პროდუქციის მიმწოდებელ სპეციალიზებულ და უნივერსალურ მაღალმექანიზებულ საწარმოთა რაციონალური ქსელი;

განახორციელოს ღონისძიებანი საქვეუწყებო მომარაგება-გასაღების საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად, საწარმოთა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განხორციელებისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უზრუნველყოფისათვის, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვადობის დაჩქარებისათვის მათი მატერიალური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად;

შექმნას მაღალმექანიზებული სასაწყობო მეურნეობა; დანერგოს სასაწყობო ოპერაციების პროგრესული ტექნოლოგია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააჩქაროს შრომის ნაყოფიერების ზრდა, დანერგოს საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობაში შრომისა და მომარაგების მართვის მეცნიერული ორგანიზაცია;

უზრუნველყოს საქვეუწყებო ორგანიზაციები, დაწესებულებები და საწარმოები კვალიფიციური კადრებით, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი;

გააუმჯობესოს სახმომარაგების ცენტრალური აპარატისა და მისი საქვეუწყებო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

3. საქართველოს სსრ სახმომარაგება:

— განახორციელებს საქვეუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების გეგმიან ხელმძღვანელობას უშუალოდ, ან დადგენილი წესით შექმნილი ორგანოების მეშვეობით, ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების გათვალისწინებით;

— უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების სწორად შეხამებას, მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვას ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისა და ორგტექნიკის გამოყენებით, მომარაგების მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას;

— უზრუნველყოფს ხელმძღვანელი სამეურნეო კადრებისა და სპეციალისტების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილების ლენინური პრინციპების განხორციელებას, მთავარ ყურადღებას დაუთმობს ხელმძღვანელი კადრების მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებასა და კონტროლს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით განახორციელებს მუშაობას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სახელმწიფო ინტერესებისა და დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით კადრების აღზრდისათვის, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების მატერიალური და მორალური სტიმულირების სწორად შეხამებას და თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერებას მისთვის მინდობილი საქმისა და კოლექტივის მუშაობის საერთო შედეგებისათვის;

— უზრუნველყოფს დემოკრატიული საწყისების განვითარებას მართვაში, შექმნის პირობებს იმისათვის, რათა მშრომელებმა და მათმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფისა და სახმომარაგების და მისი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მუშაობაში;

— გადაწყვეტს საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებს, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ამ ორგანოებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ სახმომარაგება მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეისწავლის საქართველოს სსრ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე, განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მიწოდების გეგმების შესრულების ეკონომიკურ ანალიზს და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს (ასლს — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს) და სსრ კავშირის სახმომარაგებას მასალებსა და წინადადებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მომარაგებაში არსებული „ვიწრო ადგილების“ აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

—განსაზღვრავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებას იმ პროდუქციაზე, რომლის განაწილება სსრ კავშირის სახმომარაგებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ სახმომარაგებას: შეიმუშავებს და დაამტკიცებს მომხმარებელთა მიხედვით ამ პროდუქციის განაწილების გეგმებს, შეიმუშავებს ამ პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მატერიალურ ბალანსებს; წარუდგენს სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადებებს სახმომარაგების მიერ გასანაწილებელი პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოების შესახებ; მონაწილეობას მიიღებს სამინისტროებთან, უწყებებთან და მომარაგება-გასაღების საკავშირო მთავარ სამმართველოებთან ერთად რესპუბლიკაში დამზადებული საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მზა პროდუქციის გასაღების ორგანიზაციაში;

— განახორციელებს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით მუშაობას, რათა განსაზღვროს რესპუბლიკის საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეციფიცირებული მოთხოვნილება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე, გაანაწილოს მომხმარებელთა შეკვეთები და მიამაგროს მომხმარებლები მიმწოდებელ საწარმოებს;

— მოამზადებს წინადადებებს იმის შესახებ, რომ წლის განმავლობაში რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებს დამატებით **გამოეყოთ ყოველგვარი მატერიალური რესურსები,** მათ შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ **სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნომენკლატურის** პროდუქცია, პირუტყვისა და ფრინველის საკვების გარდა;

— შეიმუშავებს საქართველოს სსრ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით წინადადებებს ჯგუფური ასორტიმენტის პროდუქციის მიწოდების წლიური გეგმების პროექტებისათვის, აგრეთვე წინადადებებს სადარგთაშორისო კოოპერირებულ მიწოდებათა **გეგმების პროექტებისათვის;** თვალყურს ადევნებს იმას, რომ სწორად იქნეს დატვირთული მიმწოდებელ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკვეთებით მათთვის დაწესებული მიწოდებათა გეგმების შესაბამისად; შეიმუშავებს და წარუდგენს სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადებებს პროდუქციის სადარგთაშორისო კოოპერირებულ მიწოდებათა ხაზით სამეურნეო კავშირურთიერთობის სრულყოფის შესახებ;

— განახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ დროზე შესრულდეს პროდუქციის მიწოდების, უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში მიწოდების გეგმები და ვალდებულებანი, დადებული ხელშეკრულებებისა და შესასრულებლად მიღებული განრიგების შესაბამისად, აგრეთვე პროდუქციის სადარგთაშორისო კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმები, და მიიღებს ზომებს ამ გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის; სისტემატურად მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სსრ კავშირის სახმომარაგებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით;

— განახორციელებს შესაბამის სატრანსპორტო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღონისძიებებს საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის გადაზიდვის რაციონალიზაციისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესებისათვის, ამასთან არ დაუშვებს შემხვედრ ტვირთზიდვას;

— კონტროლს გაუწევს საექსპორტოდ პროდუქციის, აგრეთვე საექსპორტო პროდუქციისათვის საკომპლექტებელი ნაკეთობების მიწოდების გეგმების შესრულებას და წარადგენს მოხსენებებს ექსპორტიორ საწარმოთა მიერ აღნიშნული გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

— შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით ღონისძიებებს პროდუქციის მიმწოდებლებსა და მიმღებებს შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის დამყარებისა და ამასთან საწარმოებსა და გაერთიანებებს შორის პირდაპირი ხანგრძლივი კავშირურთიერთობის ყოველმხრივი გაფართოებისათვის. წარუდგენს ამ საკითხებზე წინადადებებს სსრ კავშირის სახმომარაგებას; განახორციელებს მუშაობას საწარმოებსა და გაერთიანებებს შორის დამყარებული პირდაპირი ხანგრძლივი კავშირურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად;

— მოაწყობს მუშაობას საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციით გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კომპლექსური მომარაგებისათვის გრძელვადიან ხელშეკრულებათა საფუძველზე;

— განახორციელებს ღონისძიებებს წარმოების საშუალებათა გაქირავების განსავითარებლად, მასალებისა და ნაკეთობების გამოჭრის, დაჭრის, წვრილ ტარაში დაფასოების, სპეციალური დახარისხების მიზნით მომხმარებელთა მომსახურების განსავითარებლად, მომხმარებელთათვის ცენტრალიზებული წესით ტვირთების მისატანად;

— მოაწყობს და განახორციელებს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით საწარმოებსა და ორგანიზაციებში არსებული ზენორმატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული, ზედმეტი და გამოუყენებელი მასალების, მოწყობილობისა და სხვა-მატერიალური ფასეულობების, აგრეთვე ვარგისი სამრეწველო ნარჩენების გამოვლენას, აღრიცხვასა და რეალიზაციას, მოაწესრიგებს მომხმარებელთათვის პროდუქციის მიწოდებას მათთან არსებული მარაგის გათვალისწინებით;

— განახორციელებს კონტროლს იმისდამი, თუ რამდენად სწორად იყენებენ და ინახავენ საწარმოები, გაერთიანებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მატერიალურ-ტექნიკურ და სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს; შეიმუშავებს რესპუბლიკის სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიისათვის, წარმოებასა და მშენებლობაში, გადახიდვისა და შენახვის დროს მათი დანაკარგების შემცირებისათვის; კონტროლს გაუწევს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეკონომიის თაობაზე სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დაწესებულ დავალებათა შესრულებას;

— მოაწყობს და განახორციელებს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით მოწყობილობისა და მასალების საბითუმო ვაჭრობას, აგრეთვე საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში არსებული ზედმეტი და გამოუყენებელი მასალების, მოწყობილობისა და სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ვაჭრობას საკომისიო საწყისებზე;

— განახორციელებს მუშაობას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების, მატერიალური ფონდების განაწილებისა და რეალიზაციის წესის, მომარაგების მართვისა და მისი ფორმების სრულყოფისათვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმო-ორგანიზაციათა და მუშაკთა ეკონომიკური სტიმულირებისათვის, აგრეთვე პროდუქციის მისაწოდებლად სპეციალიზებული და უნივერსალური საწარმოების რაციონალური ქსელის შექმნისათვის და საჭირო შემთხვევებში წარუდგენს სსრ კავშირის სახმომარაგებასა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს ამ საკითხებზე;

— შეიმუშავებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს იმისათვის, რათა დაჩქარდეს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვადობა და შემცირდეს მიმოქცევის ხარჯები სატრანსპორტო-სასაწყობო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის არარაციონალური გადახიდვის აღმოფხვრის გზით, შეიმუშავებს წინადადებებს ზედმეტი და პარალელურად მოქმედი მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების ლიკვიდაციისათვის, ამასთან ყოველნაირად აამაღლებს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკურ ეფექტიანობას;

— განსაზღვრავს მომხმარებელთა მონაწილეობით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ოპტიმალურ ფორმას, ამასთან დაადგენს, თუ რა პროდუქცია და რა რაოდენობით უნდა მიაწოდოს მათ გამოყოფილი ფონდების ფარგლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის მიმწოდებელი საწარმოებისა და საბითუმო ვაჭრობის მაღაზიებს მეშვეობით ან ტრანზიტად;

— ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ ხელშეკრულებათა დადებას პროდუქციის მიწოდების შესახებ, განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

— მიიღებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან ერთად ზომებს მომხმარებელთათვის პროგრესული და ეკონომიური სახეობის პროდუქციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე გამონახავს დამატებითს რესურსებს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების გასადიდებლად;

— განახორციელებს პროდუქციის დეცენტრალიზებულ დამზადებას (შესყიდვას), აგრეთვე კონტროლს ვარგისი ნარჩენების რაციონალურად გამოყენებისა და მათი საძრეწველო გადამუშავების ორგანიზაციისადმი იმ მიზნით, რომ გადიდდეს საჭირო სახეობათა ნედლეულის, მასალებისა და ნაკეთობათა რესურსები მომხმარებელთა მოსამარაგებლად;

— განახორციელებს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით მშენებარე და სარეკონსტრუქციო საწარმოთა დაკომპლექტებას მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, კაბელისა და სხვა ნაკეთობებით;

— შეიმუშავებს და წარუდგენს სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადებებს პროდუქციის მიმწოდებელ საქვეუწყებო საწარმოებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მარაგის ნორმატივების შესახებ, აგრეთვე წინადადებებს სსრ კავშირის სახმომარაგების ნომენკლატურის მიხედვით მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების შემცირების შესახებ;

— მონაწილეობას მიიღებს მატერიალური რესურსების აღწერის შედეგების მიხედვით მასალებისა და მოწყობილობის ფოხდების დახუსტებაში, რასაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ახორციელებს;

— განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან ერთად და წარუდგენს სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადებებს ისეთი პროდუქციის გამოშვების შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ, რომელიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს, აგრეთვე მის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის, სათბობისა და მასალების მიწოდების შეწყვეტის შესახებ;

— მოაწყობს გარეგანი (სატრანსპორტო) ტარის განმეორებით გამოყენებას, დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის რემონტსა და გადამუშავებას, რესპუბლიკის საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მომარაგებას ახალი და დასაბრუნებელი ხის, ქაღალდის, მუყაოსა და ლითონის გარეგანი ტარით და მის გასაღებას; კონტროლს გაუწევს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ტარის საწარმოთა მშენებლობისა და ტარის წარმოების გეგმების შესრულებას, ახალი ეკონომიური სახეობების ტარისა და ტარის მასალების ხარჯვის ნორმების დანერგვას, ტარის უნიფიკაციას და მის სწორად გამოყენებას საწარმოებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

— უზრუნველყოფს მეორეული ნედლეულის (გარდა ლითონებისა) დამზადებას, პირველადს დამუშავებასა და გადამუშავებას დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით; შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით რესპუბლიკის საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიხედვით მეორეული ნედლეულის ჩაბარებისა და დამზადების გეგმებს, აგრეთვე ამ ნედლეულის განაწილების გეგმებს, განახორციელებს რესპუბლიკის ქალაქებში მოსახლეობისაგან ფერადი ლითონების საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესყიდვას;

— უზრუნველყოფს დადგენილი წესით სამომსახურეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომაოაგებას სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლითა და დამცავი სამარჯვებით, აგრეთვე კონტროლს გაუწევს იმას, რომ რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და დანერგონ ახალ სახეობათა აღნიშნული ნაკეთობანი და მათი დამზადებისათვის საჭირო ქსოვილები და სხვა მასალები;

— გაანაწილებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით შეკვეთებს სპეციალური ტანსაცმლის, დამცავი სამარჯვების დასამზადებლად და ამ ნაწარმს, აგრეთვე სპეციალურ ფეხსაცმელს მომხმარებელთა მიხედვით;

— მოაწყობს დადგენილი წესით საბითუმო ვაჭრობის საწარმოს მეშვეობით სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების მომარაგებას.

5. საქართველოს სსრ სახმომარაგება:

— შეიმუშავებს პროდუქციის საბითუმო რეალიზაციის, შრომის, კაპიტალური მშენებლობის, საფინანსო, საკრედიტო და სხვა გეგმებს მთლიანად რესპუბლიკის სახმომარაგების ხაზით, დაუმტკიცებს ამ გეგმებს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს, უზრუნველყოფს მათს შესრულებას;

— განიხილავს და დაამტკიცებს დადგენილი წესით პროდუქციის მიმწოდებელი საწარმოებისა და სხვა საქვეუწყებო ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებსა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, ამასთან უზრუნველყოფს ტიპობრივი პროექტების მაქსიმალურად გამოყენებას;

— დააფინანსებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესება;

— უზრუნველყოფს დაგროვებისა და ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმების შესრულებას, შექმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

— მოაწყობს დამტკიცებული გეგმების შესაბამისად პროდუქციის მიმწოდებელი ახალი საწარმოებისა და მაღაზიების, მექანიზმების, მოწყობილობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარის სარემონტო, მეორეული ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას, მოქმედის გაფართოებას, რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს;

— უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის დანერგვასა და განმტკიცებას საქვეუწყებო ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმიანობაში, განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მათი მატერიალური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება საწარმოთა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის ორგანიზაციისა და მიწოდების გეგმის შესაბამისად მომხმარებელთა შეუფერხებელი მომარაგების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვადობის დაჩქარების, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ეფექტიანად გამოყენების და მიმოქცევის ხარჯების შემცირების საქმეში;

— განახორციელებს ღონისძიებებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სატვირთო ოპერაციებზე ვაგონებისა და ავტომობილების მოცდენის შესამცირებლად;

— მოაწყობს საქვეუწყებო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვას აღრიცხვის მექანიზაციისა და მოწინავე მეთოდებისა და ფორმების დანერგვის საფუძველზე, განიხილავს და დაამტკიცებს მათს საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს; უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას, განახორციელებს საუწყებო კონტროლს და ჩაატარებს ამ ორგანიზაციათა და საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიებს;

— მოაწყობს და განახორციელებს სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის, დაგეგმვისა და ორგანიზაციის დარგში, დანერგავს სახმომარაგების, მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობაში შრომისა და მართვის მეცნიერულ ორგანიზაციას, შექმნის მომარაგების მართვის ავტომატიზებულ სისტემას და მიიღებს ზომებს ამ სისტემაში რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა ჩასაბმელად;

— უზრუნველყოფს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს კვალიფიციურ მუშაკთა კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას; შეისწავლის კადრებს, უზრუნველყოფს გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა უნარიან მუშაკთა სწორად შეხამებას, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი; განახორციელებს ღონისძიებებს მუდმივი კადრების შესაქმნელად;

— უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, განახორციელებს კონტროლს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებისადმი, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესრულებისადმი, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვისადმი;

— მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაჯამებს მის შედეგებს; სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მიაკუთვნებს გამარჯვებულ კოლექტივებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს, მიანიჭებს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს „კომუნისტური შრომის კოლექტივის“ საპატიო წოდებას;

— განაზოგადებს და გამოიყენებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოთა მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას გამომგონებლობის, რაციონალიზაციის განვითარებისა და ახალი ტექნიკის დანერგვისათვის საქვეუწყებო ორგნიზაციებსა და საწარმოებში;

— მოაწყობს მუშაობას საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის წესების შესრულებისათვის;

— მოაწყობს მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან მიაღწევს ამ წერილებში აღძრული საკითხების სწორად გადაჭრას და მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებთან დაკავშირებით გამოვლენილ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი აქვს საქვეუწყებო ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმიანობაში;

— წარადგენს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესრულებისა და მისი საქმიანობის სხვა სფეროების შესახებ.

6. საქართველოს სსრ მთავარმომარაგება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახმომარაგების დადგენილებებით, განკარგულებებით, ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით; უზრუნველყოფს კანონმდებლობის სწორად გამოყენებას საქართველოს სსრ სახმომარაგების საქვეუწყებო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში.

საქართველოს სსრ სახმომარაგება განაზოგადებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე არსებული კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას.

7. საქართველოს სსრ სახმომარაგება, პროდუქციის მომარაგება-გასაღების სამმართველოები, მშენებარე და სარეკონსტრუქციო საწარმოთა დაკომპლექტების სამმართველო, პროდუქციის მიმწოდებელი გაერთიანებანი და საწარმოები, მეორეული ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების, დასაბრუნებელი ტარის განმეორებით გამოყენების, რემონტისა და გადამუშავების საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოები და ორგანიზაციები და სხვა საქვეუწყებო დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები შეადგენენ საქართველოს სსრ სახმომარაგების სისტემას.

საქართველოს სსრ სახმომარაგების შენახვის ხარჯები გაიღება იმ სახსრებიდან, რომელთაც დადგენილი წესით გადარიცხავენ მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები და საწარმოები; იგი დამოუკიდებელ ბალანსზეა, აქვს მისთვის მიჩენილი ძირითადი და საბრუნავი სახსრები და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

საქართველოს სსრ სახმომარაგება პასუხისმგებელია საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციისათვის, იმ პროდუქციით საწარმოებისა და ორგანიზაციების უზრუნველყოფისათვის, რომლის განაწილებაც დაკისრებული აქვს სახმომარაგებას, მოწყობილობითა და მასალებით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციისათვის, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რაც შეიძლება ეკონომიური ორგანიზაციისათვის.

საქართველოს სსრ სახმომარაგების მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციისათვის.

8. საქართველოს სსრ სახმომარაგებას უფლება აქვს:

— შეამოწმოს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით გაერთიანებებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, ბაზებში, საწყობებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ნედლეულის, მასალების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, საკომპლექტებელი ნაკეთობებისა და მოწყობილობის გამოყენებისა და შენახვის სისწორე, მატერიალური რესურსების მარაგის და ხარჯვის დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმების დაცვა, მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი დაშვებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ;

— მიიზიდოს საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე მათთან შეთანხმებით ცალკეული სპეციალისტები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების შესამუშავებლად და იმ შემოწმებებში მონაწილეობის მისაღებად, რომელთაც სახმომარაგება ატარებს მატერიალური რესურსების გამოყენებისა და შენახვის, მარაგის ნორმების დაცვისა და მათი ხარჯვის საქმეში;

— ისესხოს ცალკეული საწარმოების, გაერთიანებების, მშენებლობებისა და ორგანიზაციებისაგან, მათი ხელმძღვანელების თანხმობით და მათი საწარმოო საქმიანობისათვის ზიანის მიუყენებლად, ნედლეული, მასალები, სათბობი და საკომპლექტებელი ნაკეთობანი იმისათვის, რათა დროებითი დახმარება აღმოუჩინოს საწარმოებს, გაერთიანებებს, მშენებლობებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ამას საჭიროებენ, ამასთან უზრუნველყოს ნასესხები მატერიალური რესურსების დაბრუნება დათქმულ ვადებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მისცეს გაერთიანებებსა და საწარმოებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სახმომარაგების კომპეტენციის ფარგლებში, შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის გაგზავნის ვადების, წესისა და რიგითობის საკითხებზე, პროდუქციის მიწოდების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ამასთან არ დაუშვას ამ საკითხებზე მომარაგება-გასაღების საკავშირო მთავარ სამმართველოთა მითითებების დარღვევა;

— მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ვადაზე ადრე მიაწოდოს მომხმარებლებს სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმომარაგების ნომენკლატურის პროდუქცია (რომელიც ნაწილდება ცენტრალიზებულად ფონდმფლობელთა მიხედვით), რაც მათ გამოყოფილი აქვთ წლიური ფონდებით, ხოლო მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში — მომავალი წლის ფონდების ანგარიშში იმ გზით, რომ:

ისესხოს ცალკეული საწარმოო გაერთიანებების, კომბინატების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, მათი ხელმძღვანელების თანხმობით, სხვებისათვის და შემდგომ დააბრუნოს დათქმულ ვადაში;

პროდუქციის მიმწოდებელ დაქვემდებარებულ საწარმოებში არსებული საბრუნავი მატერიალური რესურსების ხარჯზე;

ჩააბას ბრუნვაში ზენორმატიული, ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსები, განთავისუფლებული პროდუქცია მის მიღებაზე მომხმარებლის უართან დაკავშირებით, აგრეთვე მოაწესრიგოს ტრანზიტით მიწოდება იმ მომხმარებელთათვის, რომელთაც აქვთ ერთნაირი პროდუქციის ზენორმატიული მარაგი;

— მისცეს მომხმარებლებს გადაუდებელ საჭიროებათა უზრუნველსაყოფად მათთვის გამოყოფილი ფონდების გადამეტებით დადგენილი წესით ბრუნვაში მოქცეული ზენორმატიული, ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსები სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმომარაგების ნომენკლატურის მიხედვით (სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დაწესებული ოდენობით), დეცენტრალიზებული წესით დამზადებული საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქცია, აგრეთვე სამრეწველო გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია. ამასთან აკრძალულია საბაზრო ფონდების მიხედვით გამოყოფილი პროდუქციის დამზადება;

— გაანაწილოს საწარმოო გაერთიანებებთან, კომბინატებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით მათ თავისუფალ საწარმოო სიმძლავრეებზე შეკვეთები სსრ კავშირის სახმომარაგების ნომენკლატურის დეფიციტური პროდუქციის დამატებითი წარმოებისათვის, ამასთან საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ეს წარმოება მატერიალური რესურსებით იმ მომხმარებელთა ფონდების ხარჯზე, რომელთაც გამოეყოფათ აღნიშნული პროდუქცია, აგრეთვე წინა აბზაცში გათვალისწინებული წყაროების ხარჯზე, იმ ვარაუდით, რომ ეს პროდუქცია პირველ რიგში გამოყენებულ იქნეს რესპუბლიკის მომხმარებელთა საგეგმო მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნება დართოს, რომ მომხმარებელთა შორის გაიცვალოს მათი შუამდგომლობით ერთგვაროვანი პროდუქცია მათთვის გამოყოფილი ფონდების მიხედვით, აგრეთვე განახორციელოს ასეთი გაცვლა და გამოიყენოს ამ მიზნით პროდუქციის მიმწოდებელ დაქვემდებარებულ საწარმოებში არსებული საბრუნავი მატერიალური რესურსები და დადგენილი წესით ბრუნვაში მოქცეული ზენორმატიული, ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსები;

— დადგენილი წესით მოახდინოს საწარმოებისათვის მისაწოდებელი პროდუქციის რაოდენობისა და მიწოდების ვადების რეგულირება, მათთან არსებული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის და მათთვის გამოყოფილი ფონდების გათვალისწინებით, აგრეთვე შეამციროს საწარმოებისათვის პროდუქციის მიწოდება გაცემულ განრიგებში შესაბამის ცვლილებათა შეტანის გზით, თუ ფაქტიურად არსებული ერთნაირი პროდუქცია და საწარმოსათვის გამოყოფილი ფონდები გარდამავალი მარაგის ნორმატივების გათვალისწინებით აღემატება საწარმოს წლიურ მოთხოვნილებას;

— მიიღოს დადგენილი წესით გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ზენორმატიული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც აქვთ საწარმოებს იმ ოდენობით, რაც აღემატება მათს წლიურ მოთხოვნილებას გარდამავალი მარაგის ნორმატივების გათვალისწინებით, გაუგზავნოს მომხმარებლებს გამოყოფილი ფონდების ანგარიშში ან მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებია ტერიტორიულ ორგანოთა პროდუქციის მიმწოდებელ საწარმოებს;

— გადაანაწილოს დადგენილი წესით საქვეუწყებო დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოგება და საამორტიზაციო ანარიცხები ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად;

— გადაიყვანოს დადგენილი წესით მოქმედი საქვეუწყებო დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან მეორეში სამუშაოთა მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით და მიაკუთვნოს ახალშექმნილი დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ჯგუფს, ამასთან გაითვალისწინოს აღნიშნულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა შრომის ანაზღაურების ჯგუფების მიხედვით განაწილების დამტკიცებული მაჩვენებლები ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— მიიღოს:

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან — სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესამუშავებლად და მათი შესრულების შესამოწმებლად;

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის შესაბამისი დაწესებულებების ან საქართველოს რესპუბლიკური კანტორებისაგან — მონაცემები რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე და ორგანიზაციებში ნორმირებადი სახსრების მდგომარეობის შესახებ;

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან, აგრეთვე უშუალოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, გაერთიანებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და ორგანიზაციებისაგან — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესამუშავებლად, სარეალიზაციოდ და შესრულების შესამოწმებლად საჭირო მთელი მასალები, მათ შორის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები, პროდუქციის მიწოდების გეგმები, საწარმოებისათვის მისი გაგზავნის გრაფიკები, და სხვა საინფორმაციო მასალები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საქართველოს სსრ სახმომარაგებამ შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები.

9. საქართველოს სსრ სახმომარაგება მოისმენს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და მისცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ამ სამინისტროების, გაერთიანებების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ.

10. საქართველოს სსრ სახმომარაგებას სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დაამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ სახმომარაგების საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიმართ სახმომარაგების თავმჯდომარე ახორციელებს უფლებებს, რაც მინიჭებული აქვს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრებს.

11. საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე:

— ხელმძღვანელობს სახმომარაგებისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობას;

— პერსონალურად პასუხისმგებელია სახმომარაგებისათვის დაწესებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს თავმჯდომარის მოადგილეთა, სახმომარაგების სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სახმომარაგების სისტემის ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობისათვის;

— გამოსცემს სახმომარაგების კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს, განკარგულებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის სახმომარაგების დადგენილებების, განკარგულებების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას;

— დაამტკიცებს საქვეუწყებო ორგანიზაციათა და საწარმოთა დებულებებს (წესდებებს);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს სსრ კავშირის სახმომარაგების სასახმობით პროდუქციის მიმწოდებელ საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებს მისთვის დაწესებული შრომის გეგმის ფარგლებში;

— დანიშნავს და დაითხოვს, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახმომარაგების აპარატისა და საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაკებს, თანამდებობათა დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

— გასცემს საქართველოს სსრ სახმომარაგების სახელით მინდობილობებს, გახსნის ბანკებში ანგარიშებს, განაგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახმომარაგების ქონებასა და სახსრებს.

12. საქართველოს სსრ სახმომარაგებაში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: სახმომარაგების თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე) და სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სახმომარაგების სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. სახმომარაგების კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ სახმომარაგების კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს რესპუბლიკაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ძირითად საკითხებს, ქვეყნის სხვა რაიონებში და საექსპორტოდ პროდუქციის მიწოდების, მთავარმომარაგების საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, მთავარმომარაგებისადმი უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და განკარგულებათა პროექტებს; მოისმენს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების, აგრეთვე სახმომარაგების ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მოხსენებებსა და ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, საქართველოს სსრ სახმომარაგების განკარგულებებით ან საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის ბრძანებებით. სახმომარაგების თავმჯდომარესა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

14. საქართველოს სსრ სახმომარაგება დადგენილი წესით მოიწვევს აქტივის კრებებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებზეც მოისმენენ და განიხილავენ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, განიხილავენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე სახმომარაგებისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

15. საქართველოს სსრ სახმომარაგება ქმნის არბიტრაჟს სახმომარაგების საქვეუწყებო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა შორის წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად. სახმომარაგების არბიტრაჟს უფლება აქვს გამოსცეს ბრძანებები მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ. არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს სახმომარაგების თავმჯდომარე.

16. საქართველოს სსრ სახმომარაგების ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებით, საქართველოს სსრ სახმომარაგების ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე.

17. საქართველოს სსრ სახმომარაგებას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება ქართულ და რუსულ ენებზე.

---

88 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. ს. კეკელიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის კორნელი სამსონის ძე კეკელიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ. ამ მიზნით:

1. მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. ს. კეკელიძის სახელი თბილისის № 29 საშუალო სკოლას.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდის ხარჯზე კ. ს. კეკელიძის სახელობის ერთი პრემია 2.500 მანეთის ოდენობით, რომელიც მიეკუთვნება სამ წელიწადში ერთხელ ლიტერატურათმცოდნეობის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 15 ოქტომბერი, № 700.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემის შემუშავების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილების მოთხოვნების შესასრულებლად, რომლებიც ითვალისწინებენ ტერიტორიული დაგეგმვის გაუმჯობესებას, მატერიალური რესურსების უფრო სრულად აღრიცხვას, კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმების დავალებათა შეწონასწორებისათვის საჭირო პირობების შექმნას, საჭიროა შეიქმნას საქართველოს სს რესპუბლიკაში სამშენებლო წარმოების მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამჟამად კაპიტალურ მშენებლობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახორციელებენ სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას ექვემდებარებიან, და თითოეული მათგანი საკუთარი საჭიროებისათვის ქმნის მშენებლობის საწარმოო ბაზის შედარებით მცირე და მთელ რიგ შემთხვევებში ნაკლებეფექტიან საწარმოებსა და მეურნეობებს. ამ საწარმოებისა და ბაზების დაპროექტებას და მშენებლობას არავინ არ უწევს კოორდინაციას, არ არსებობს კოოპერაცია ამ საქმეში.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მშენებლობათა უზრუნველყოფის მიზნით სამშენებლო ბაზის საწარმოთა და მეურნეობათა რაციონალური განვითარებისა და განლაგებისათვის უაღრესად საჭიროა შემუშავდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემა, როგორც ამ ობიექტების დაგეგმვისა და მათი დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების ძირითადი დოკუმენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემუშავდეს 1979 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური გეგმა. ამ მიზნით:

— დაეკისროს შემკვეთის ფუნქციები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და დაევალოს მას უზრუნველყოს მიმდინარე წელს, აგრეთვე მომდევნო წლებში საჭირო ლიმიტებით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემის კორექტირებისა და დაზუსტების საპროექტო სამუშაოები;

— დაეკისროს საპროექტო სამუშაოთა პასუხისმგებელი (გენერალური) შემსრულებლის ფუნქციები სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ინსტიტუტს „საქსახპროექტს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ინსტიტუტმა „საქსახპროექტმა“:

— შეიმუშაოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემა 1990 წლამდე პერიოდისათვის, ამასთან უფრო დაწვრილებით დაასაბუთოს 1981-1985 წლების ღონისძიებანი და განსაზღვროს მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების ყველაზე მიზანშეწონილი მიმართულებანი სამშენებლო სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, თავმოყრილი მშენებლობის კვანძების თვალსაზრისით, აგრეთვე მთლიანად რესპუბლიკის მიხედვით;

— ყოველწლიურად განახორციელოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემის კორექტირებისა და დაზუსტების საპროექტო სამუშაოები;

— განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა დამტკიცებული გენერალური და საუწყებო სქემებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

ნება დაერთოს, როგორც გამონაკლისი, ინსტიტუტ „საქსახპროექტს“ მიიზიდოს აღნიშნულ სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში შესასრულებლად მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დროებით სამუშაოზე შეთავსებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს:

— საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემის მაღალკვალიფიციური დაპროექტებისა და მისი შემუშავებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნას მუდმივმოქმედი ტექნიკური საბჭო რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარის მოადგილის ხელმძღვანელობით, მის მუშაობაში სპეციალისტთა მიზიდვით;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების სახსრების კოოპერირების საფუძველზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოპტიმალური სიმძლავრის მსხვილი საწარმოებისა და მეურნეობების, აგრეთვე საერთო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სასწავლო კომბინატებისა და ექსპერიმენტული მშენებლობის ბაზების შექმნას;

— წარმოუდგინოს 1979 წლის 30 დეკემბრამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების შემუშავებული გენერალური კომპლექსური სქემა კარტოგრაფიული მასალითურთ.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემა ძირითადი გეგმისწინა დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მოთხოვნილება კაპიტალურ დაბანდებებზე და მიიღება გადაწყვეტილებანი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მშენებლობათა შეწონასწორებული უზრუნველყოფისათვის მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საწარმოთა და მეურნეობათა დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური სქემის შემუშავებისათვის საჭირო მონაცემების — პირველადი მასალების შესადგენად შემკვეთის ფუნქციების შესრულებასთან, აგრეთვე დამტკიცებული გენერალური და საუწყებო სქემებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის განყოფილებაში ქვეგანყოფილება ოთხი კაცის შემადგენლობით 740 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის 1979 წელს დამტკიცებული მუშაკთა საერთო რიცხოვნობის და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

6. დაწესდეს, რომ მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების საუწყებო სქემებს შეადგენს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სამშენებლო სამინისტრო, უწყება და ორგანიზაცია, ამასთან აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ გენერალური ტერიტორიული კომპლექსური სქემით დასახული გადაწყვეტილებანი.

ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა საუწყებო სქემებში გათვალისწინებულ იქნება შემდეგი წინადადებანი:

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსი — მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საწარმოთა და მეურნეობათა განვითარებისა და განლაგების შესახებ საერთო-სამშენებლო დანიშნულების კონსტრუქციებსა და ნაკეთობებზე (მშენებლობის სპეციალური სახეობებისათვის საჭირო კონსტრუქციებისა და ნაკეთობების გარდა) ამ სამუშაოთა შემსრულებელი ყველა სამშენებლო ორგანიზაციის (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების გათვალისწინებით;

— საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსი — მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმ საწარმოებისა და მეურნეობების განვითარებისა და განლაგების შესახებ, რომლებიც უშვებენ პროდუქციას და უწევენ მომსახურებას, რაც სპეციფიკურია სოფლად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის, რესპუბლიკურ საკოლმეურნეობათაშორისო და კოოპერაციულ სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთიანი გეგმის მიხედვით და მშენებლობის აღნიშნული სახეობისათვის საჭირო კონსტრუქციებსა და ნაკეთობებზე ყველა იმ სამშენებლო ორგანიზაციის მოთხოვნილების გათვალისწინებით, რომლებიც ასრულებენ სოფლად სამუშაოებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა (საერთო-სამშენებლო დანიშნულების კონსტრუქციებისა და ნაკეთობების გარდა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და მშენებლობის სპეციალურ სახეობათა განმხორციელებელი სხვა სამინისტროებისა და უწყებების სამშენებლო ორგანიზაციებისა — მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სპეციალიზებული საწარმოებისა და მეურნეობების განვითარებისა და განლაგების შესახებ, რომლებიც უშვებენ პროდუქციას ან უწევენ მომსახურებას, რაც სპეციფიკურია შესაბამისი სამინისტროს, უწყების მუშაობის პროფილისათვის;

— საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოსი — სამშენებლო ფოლადის, მათ შორის მსუბუქი ფოლადის, და ალუმინის კონსტრუქციებისა და ნაკეთობების, ფოლადის ან ალუმინის ფურცლის და ეფექტიანი მათბუნებლის გამოყენებით შემომზღუდი კონსტრუქციების, სამონტაჟო ნამზადების, კვანძებისა და დეტალების თბოსაიზოლაციო და სამონტაჟო სპეციალური სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო სხვა მასალებისა და ნაკეთობების საწარმოთა განვითარებისა და განლაგების შესახებ;

— საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსი — ყველა საშენი მასალის, მათ შორის ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოთა განვითარებისა და განლაგების შესახებ;

— საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსი — ჩაშენებული ავეჯისა და ხის დამუშავების სხვა ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოების განვითარებისა და განლაგების შესახებ.

7. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ინსტიტუტმა „საქსახპროექტმა“, აგრეთვე სხვა საპროექტო ინსტიტუტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების გენერალური, აგრეთვე საუწყებო სქემების შედგენისას ძირითად სამშენებლო კონსტრუქციებზე, ნაკეთობებზე, მასალებზე, სამშენებლო მანქანებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე მოთხოვნილება განსაზღვრონ დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური საგეგმო მოცულობის, აგრეთვე კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით, და წარუდგინონ შესაბამისი მონაცემები ინსტიტუტ „საქსახპროექტს“ დაწესებული ფორმის მიხედვით.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— გამოუყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1979 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარებისა და განლაგების გენერალური კომპლექსური გეგმის შესამუშავებლად უკმარი სახსრები 42.502 მანეთის ოდენობით;

— გაადიდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ერთი მსუბუქი ავტომანქანის შენახვის ლიმიტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 ოქტომბერი, № 720.

90 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცენარეთა კარანტინის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის გატანისა და შემოტანის დროს საკარანტინო ღონისძიებათა განსახორციელებლად. შემცირდა საკარანტინო წესების დარღვევათა რაოდენობა. რესპუბლიკაში საკარანტინო მავნებლის — ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების ლოკალიზაციისათვის ქმედით ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მიღწეულია აღნიშნული მავნებლით დასენიანების კერების შეზღუდვა, ზოგან კი — სრული ლიკვიდაცია.

ამასთანავე ამ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. საკარანტინო კონტროლი ყველგან როდი ხორციელდება და ყოველთვის ქმედითს ხასიათს როდი ატარებს. ამის შედეგად კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა გამგებლობაშიც არის მიწის სავარგულები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს არა აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ოპერატიული ზომები საშიშ საკარანტინო მავნებელთა და სარეველა მცენარეთა ლიკვიდაციისათვის, რომლებიც ახალ ფართობებზე ვრცელდება.

ბევრ რაიონში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა მცენარეთა საკარანტინო მავნებლებისა და სარეველების ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით.

მაგალითად, საკარანტინო მავნებელი აღმოსავლური ნაყოფჭამია, რომელიც პირველად გამოვლინდა 1965 წელს გაგრის საქალაქო საბჭოს ზონაში, გუდაუთისა და გულრიფშის რაიონებში 55 ჰექტარ ფართობზე, ამჟამად გავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელებულია როგორც დასავლეთ, ისევე აღმოსავლეთ საქართველოს 54 რაიონში 46 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე. 1973 წელს გაგრის საქალაქო საბჭოს ზონაში 15 ჰექტარ ფართობზე პირველად გამოვლენილი კოლორადოს ხოჭო ამჟამად გავრცელდა კიდევ 11 რაიონში, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოში, 700 ჰექტარზე მეტ ფართობზე. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა კალიფორნიული ფარიანასა და ციტრუსების ფრთათეთრას გავრცელების მხრივ.

რესპუბლიკაში ერთობ ფართოდ გავრცელდა საკარანტინო სარეველა ამბროზია, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. ამ მცენარის ყვავილის მტვერი ძალზე ვნებს ადამიანისა და ცხოველთა ჯანმრთელობას.

ხშირად ირღვევა მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ტრანსპორტირების დადგენილი წესები, რაც წარმოშობს დაუსენიანებელ რაიონებში მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნებლების გავრცელების საფრთხეს.

რესპუბლიკაში მცენარეთა ზოგიერთი საკარანტინო მავნებლისა და სარეველების ფართოდ გავრცელება იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექცია, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაშიც არის მიწის სავარგულები, ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს მცენარეთა საკარანტინო მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლის საკითხებზე და მთლიანად არ ახორციელებენ მათი მოსპობისათვის საჭირო ღონისძიებებს.

„სსრ კავშირში მცენარეთა კარანტინის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 ივლისის № 656 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიშ მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და მთლიანი მოსავლის გადიდების საქმეში ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანად და დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციას, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, აფხა-

ზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რაც უზრუნველყოფს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლებისა და დაავადებების და სარეველების შემოღწევისაგან საქართველოს სსრ ტერიტორიის დაცვის გაძლიერებას, და უზრუნველყონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლებით, დაავადებებითა და სარეველებით დასენიანების კერების დროულად გამოვლენა, ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია;

— უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სატყეო-სამეურნეო, დამამზადებელმა, სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მკაცრად დაიცვან მცენარეთა კარანტინის დადგენილი წესები სოფლის მეურნეობის და მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქციის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის დროს;

— დააზუსტონ რესპუბლიკაში მცენარეთა საკარანტინო მავნებლებისა და სარეველების გავრცელების ზონები, დააწესონ თითოეული მეურნეობისათვის დავალებანი აღნიშნული მავნებლებითა და სარეველებით დასენიანების ლიკვიდაციისათვის საჭირო ყველა ღონისძიების დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში ხარისხიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად;

— განუმარტონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 ივლისის № 656 დადგენილებით მათ დაეკისრათ პერსონალური პასუხისმგებლობა მცენარეთა კარანტინის ღონისძიებების დროულად და სრულად განხორციელებისათვის;

— მიიღონ ზომები იმისათვის, რათა სახელმწიფო საკარანტინო სამსახურის მუშაობაში ფართოდ მონაწილეობდნენ მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო-სამეურნეო, დამამზადებელი, სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ყველაზე აქტიურ მუშაკთაგან.

2. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ, საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მისცენ საქართველოს სსრ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურის ორგანოებს მუშაობისათვის საჭირო სადგომები რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის შემოსვლის პუნქტებში.

3. დაევალოთ რესპუბლიკის საზღვაო ნავსადგურების, რკინიგზის სადგურების, აეროპორტების, ავტოვაგზლების, მთავარფოსტამტების ადმინისტრაციებს გადასცენ საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ მცენარეთა დაცვის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანტინის სახელმწიფო სამსახურის განკარგულებაში სატრანსპორტო საშუალებანი, სასაწყობო სადგომები და დამხმარე მასალები თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის გაუსნებოვნების სამუშაოთა განსახორციელებლად.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

— მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მუშაობა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცენარეთა გარეგანი და შინაგანი კარანტინის სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის;

— შექმნან საჭირო შემთხვევებში სპეციალიზებული რაზმები, რათა აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს დახმარება საკარანტინო მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის განხორციელებაში და გამოუყონ ამ მიზნით საჭირო ტექნიკა, აპარატურა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი;

— მიიღონ ზომები მცენარეთა კარანტინის სასაზღვრო სახელმწიფო და სახელმწიფო ინსპექციების, მცენარეთა კარანტინის რაიონული და სარაიონთაშორისო პუნქტების, მცენარეთა კარანტინის ლაბორატორიების, საფუმიგაციო რაზმების, მცენარეთა მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების გაჩენა-განვითარების სიგნალიზაციისა და პროგნოზების პუნქტების განმტკიცებისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისათვის, უზრუნველყონ ეს ორგანიზაციები საჭირო საწარმოო სადგომებით, აგრეთვე გამოყონ საცხოვრებელი ბინები მათი მუშაკებისათვის.

5. საქართველოს სსრ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციამ:

— გააძლიეროს მუშაობა მცენარეთა საკარანტინო მავნებლებთან და სარეველებთან საბრძოლველად, დროულად განახორციელოს მათი სრული მოსპობისათვის საჭირო ღონისძიებანი და მიღებული ზომების შესახებ პერიოდულად წარმოუდგინოს ინფორმაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— მიიღოს გადაუდებელი ზომები მცენარეთა საკარანტინო მავნებლებით, დაავადებებითა და სარეველებით სასოფლო-სამეურნეო, სატყეო ან სხვა სავარგულებში დასენიანების გამოვლენილი კერების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის და გაუგზავნოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინებანი შესაბამის ტერიტორიაზე კარანტინის დაწესების შესახებ.

გადაწყვეტილებებს კარანტინის დაწესების ან მოხსნის შესახებ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურის ორგანოების წარდგენით მიიღებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ, საქართველოს საზღვაო სანაოსნომ და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა არ მიიღონ გადასაზიდად თესლი, მცენარეები და მცენარეული წარმოშობის პროდუქცია იმ ტერიტორიებიდან, რომლებზეც დაწესებულია კარანტინი, საქართველოს სსრ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის მიერ გაცემული საკარანტინო სერტიფიკატების გარეშე.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს ხელი შეუწყონ თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორებს იმ მხრივ, რომ მათ შეასრულონ სამსახურებრივი მოვალეობანი საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელებისას.

8. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა შესაძლებლობა მისცეს მცენარეთა კარანტინის სამსახურს გამოიყენოს საჭირო შემთხვევებში რადიო და ტელევიზია მცენარეთა კარანტინის ღონისძიებათა განხორციელების ორგანიზაციისათვის.

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მიიღონ ზომები მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლების, დაავადებებისა და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მეცნიერული კვლევის გასაფართოებლად.

10. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1979 წლის 6 ივლისის № 656 დადგენილებით „სსრ კავშირში მცენარეთა კარანტინის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“:

— დააწესა, რომ:

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცენარეთა კარანტინის ღონისძიებათა დროულად განხორციელებისათვის; ამ სამინისტროს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული ბრძანებები და ინსტრუქციები მცენარეთა კარანტინის შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სამინისტროსათვის, უწყებისათვის, საწარმოსათვის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე მოქალაქეთათვის;

ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების შემოღწევისაგან, ამ მავნებლებით, დაავადებებითა და სარეველებით დასენიანების კერების ლოკალიზაციასა და ლიკვიდაციას, აგრეთვე ქვეყნის იმ რაიონებში მათი შეღწევის თავიდან აცილებას, სადაც ისინი არ არსებობენ, ახორციელებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახური;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი თანამდებობის მიხედვით ამავე დროს არის სსრ კავშირის მცენარეთა კარანტინის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი;

მოკავშირე ან ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარეში ან ოლქში მცენარეთა კარანტინის სასაზღვრო სახელმწიფო ან სახელმწიფო ინსპექციის უფროსი თანამდებობის მიხედვით ამავე დროს არის შესაბამისი მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის ან ოლქის მცენარეთა კარანტინის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი;

მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო საქალაქო ან სარაიონთაშორისო ინსპექციის უფროსი, საზღვაო ან სამდინარო ნავსადგურში (ნავმისადგომზე), რკინიგზის სადგურში, აეროპორტში, მთავარფოსტამტში ან გზატკეცილზე მცენარეთა კარანტინის სასაზღვრო პუნქტის გამგე, მცენარეთა კარანტინის რაიონული ან სარაიონთაშორისო პუნქტის უფროსი აგრონომი თანამდებობის მიხედვით ამავე დროს არიან მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორები,

— დააკისრა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურს:

განახორციელოს სსრ კავშირში იმპორტის წესით შემოსატანი და საექსპორტოდ გასაგზავნი თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის საკარანტინო შემოწმება და ლაბორატორიული ექსპერტიზა;

განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო და სხვა სავარგულების, თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის შენახვის, გადამუშავების ადგილების საკონტროლო გამოკვლევა მცენარეთა საკარანტინო მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების დროულად გამოვლენის მიზნით;

განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ საკარანტინო ღონისძიებათა შესრულებისადმი;

უზრუნველყოს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და კარანტინგამოცხადებული ტერიტორიებიდან შემოსული თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების გაჯანსაღებისა და საკარანტინო გაუსნებოვნების ორგანიზაცია;

— შეისწავლოს სსრ კავშირის ტერიტორიაზე არარსებული მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნებლებისა და დაავადებების და სარეველების ბიოლოგიისა და ეკოლოგიის სახეობრივი შემადგენლობა;

— შეიმუშაოს თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ფარული დასენიანების საკარანტინო შემოწმების, ლაბორატორიული ექსპერტიზისა და დიაგნოსტიკის მეთოდები და ტვირთების გაუსნებოვნების ტექნოლოგია;

კონტროლი გაუწიოს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მცენარეთა კარანტინისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას;

უფლება მისცა მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორებს:

დაუბრკოლებლად შევიდნენ საზღვაო და სამდინარო ნავსადგურების (ნავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისადგომების), რკინიგზის სადგურებისა და ავტოვაგზლების (ავტოსადგურების), აეროპორტების, მთავარფოსტამტების, საწყობების ტერიტორიაზე, საზღვაო და სამდინარო ფლოტის გემებზე, სამგზავრო და სატვირთო მატარებლებში და სამოქალაქო თვითმფრინავებში;

მოსთხოვონ საბაჟოების, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურების (ნავმისადგომების), რკინიგზის სადგურების, ავტოვაგზლების (ავტოსადგურების), აეროპორტების, მთავარფოსტამტების ადმინისტრაციებს ცნობები მისაღები და გასაგზავნი ტვირთების შესახებ და გასინჯონ სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და დეკორატიული კულტურების თესლის, სარგავი მასალების, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის სატვირთო დოკუმენტები;

— დაუშვა სსრ კავშირში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის შემოტანა იმ პირობით, თუ არსებობს:

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციებისათვის მიცემული საიმპორტო საკარანტინო ნებართვა;

ექსპორტიორი ქვეყნის მცენარეთა კარანტინისა და დაცვის სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული საკარანტინო სერტიფიკატი ან მოწმობა;

— აკრძალა სსრ კავშირში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის შემოტანა, რომლებშიც აღმოჩნდა მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლები, დაავადებანი და სარეველები;

— გაითვალისწინა, რომ:

კარანტინდაწესებული ტერიტორიებიდან საკარანტინო სერტიფიკატების გარეშე შემოტანილი თესლი, მცენარეები და მცენარეული წარმოშობის პროდუქცია ჩამორთმეულ უნდა იქნეს და გადაეცეთ დამამზადებელ ორგანიზაციებს ტექნიკური გადამუშავებისათვის ან საზოგადოებრივი კვების საწარმოებში გამოსაყენებლად, ხოლო საჭირო შემთხვევებში — დასაბრუნებლად ან მოსასპობად;

კარანტინდაწესებული ტერიტორიებიდან საკარანტინო სერტიფიკატების გარეშე შემოტანილ თესლს, მცენარეებსა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციას დააკავებენ და ჩამოართმევენ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორები;

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სსრ კავშირში შემოტანილი თესლი, მცენარეები და მცენარეული წარმოშობის პროდუქცია აუცილებლად უნდა შემოწმდეს სსრ კავშირის ტერიტორიაზე მათი შემოსვლის პუნქტებში;

სასაზღვრო პუნქტები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის შემოტანა, განისაზღვრება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციასთან შეთანხმებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამტკიცებს მცენარეთა იმ მავნებლებისა და დაავადებების და სარეველების ნუსხას, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ხორციელდება საკარანტინო ღონისძიებანი;

საკარანტინო ღონისძიებანი ვრცელდება:

ა) სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და დეკორატიული კულტურების თესლსა და სარგავ მასალაზე, მცენარეებსა და მათ ნაწილებზე (კალმები, ბოლქვები, გორგლები, ნაყოფი და ა. შ.), აგრეთვე მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქციაზე, რომელიც შეიძლება იყოს მცენარეთა მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების გადამტანი;

ბ) მცენარეული მასალების ტარაზე, ცალკეულ სამრეწველო საქონელზე, შესაფუთავ საშუალებებსა და ნაკეთობებზე, რომლებიც შეიძლება იყოს მცენარეთა მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების გადამტანი, ნიადაგის ნიმუშებსა და მონოლითებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც შემოდის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და კარანტინგამოცხადებული ტერიტორიებიდან;

გ) სადგომებზე, სადაც აწყობენ მცენარეული წარმოშობის პროდუქციას, აგრეთვე ასეთი პროდუქციის მწარმოებელ, დამამზადებელ და გადამმუშავებელ მეურნეობებზე;

სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და დეკორატიული კულტურების განსაკუთრებით ძვირფასი თესლი, სარგავი მასალა, აგრეთვე მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ნიმუშები შეიძლება შემოტანილ იქნეს სსრ კავშირში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მიუხედავად მათი დასენიანებისა, სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის, ამასთან აუცილებლად უნდა განხორციელდეს საკარანტინო ღონისძიებანი, რაც გამორიცხავს სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლებისა და დაავადებების და სარეველების გავრცელების შესაძლებლობას;

აღნიშნული პროდუქციის შემოტანა და გადატანა სსრ კავშირის ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის შესაბამისი ნებართვით;

იმ შემთხვევებში, როცა მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლები და დაავადებები და სარეველები აღმოჩნდება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სსრ კავშირში შემოტანილ თესლში, მცენარეებში, მცენარეული წარმოშობის პროდუქციასა და სხვა ტვირთებში, რომელთა მიმართაც არ შეიძლება მიღებულ იქნეს გაუსნებოვნებისა და გაწმენდის ეფექტიანი ზომები, ეს პროდუქცია და ტვირთები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებით, რაც შეუთანხმდება საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, დაუბრუნდება ექსპორტიორს ან მოისპობა;

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სსრ კავშირში შემოტანილი თესლი, მცენარეები და მცენარეული წარმოშობის პროდუქცია, მათში მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გაუსნებოვნდეს ქიმიური და სხვა ხერხებით, გაიწმინდოს სარეველებისაგან, დაითესოს ან დაირგას. საკარანტინო სანერგეებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ორანჟერეებში აღნიშნული მცენარეული მასალის ფარული დასენიანების გამოვლენისა და გაჯანსაღების მიზნით, ტექნიკურად გადამუშავდეს ან გამოყენებულ იქნეს იმ რაიონებში, სადაც არ არის საფრთხე გამოვლენილი მავნებლებისა და სარეველების გავრცელებისა;

მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლებისა და დაავადებებისაგან თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ქიმიურ გაუსნებოვნებას სასაზღვრო პუნქტებში, რომელთა მეშვეობითაც შემოდის ეს ტვირთი, ახდენენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურის საფუძვლიანი რაზმები;

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სსრ კავშირში შემოტანილი თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის გაუსნებოვნებასთან დაკავშირებულ მთელ ხარჯებს გაიღებენ საგარეო ვაჭრობის შესაბამისი გაერთიანებანი;

სსრ კავშირის ტერიტორიაზე გადასატანი სატრანზიტო ტვირთები, რომლებიც შეიცავენ თესლს, მცენარეებსა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციას, აუცილებლად უნდა გააკონტროლონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურის ორგანოებმა;

აღნიშნულ ტვირთებში მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების აღმოჩენის შემთხვევაში ეს ტვირთები უნდა დააკავონ, გააუვნებლონ (გამგზავნის თანხმობით) ან დაუბრუნონ ექსპორტიორ ქვეყანას; კარანტინდაწესებული ტერიტორიებიდან თესლის, მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის გამოტანა ხორციელდება მხოლოდ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი პირობებისა და წესების დაცვით;

ხეხილის, კენკრის, ციტრუსოვანი კულტურების, ვაზისა და დეკორატიულ მცენარეთა დარაიონებული ჯიშების სარგავი მასალის წარმოება ხორციელდება, როგორც წესი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სანერგეებში. აღნიშნული კულტურების სარგავი მასალა სხვა სამინისტროთა და უწყებათა მეურნეობებში შეიძლება მოყვანილ იქნეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვით;

ხეხილის, კენკრის, ციტრუსოვანი კულტურების, ვაზისა და დეკორატიულ მცენარეთა სარგავი მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარგავად, სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობისათვის გადასაცემად და მისაყიდად მხოლოდ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურის ორგანოების ნებართვით;

პირებს, რომლებიც დაუშვებენ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი ისეთი მასალების გატანას სასაზღვრო, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებიდან (ნავმისადგომებიდან), რკინიგზის სადგურებიდან, ავტოვაგზლებიდან (ავტოსადგურებიდან), აეროპორტებიდან და სხვა სასაზღვრო პუნქტებიდან, რომელთაც არ გაუვლიათ საკარანტინო შემოწმება და შესაბამისი დამუშავება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააჯარიმებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები შემდეგი ოდენობით: მოქალაქეებს — 10 მანეთამდე, თანამდებობის პირებს — 50 მანეთამდე, თუ ეს მოქმედება არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;

მცენარეთა საკარანტინო მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის წესების დარღვევისათვის დამნაშავე პირებს დააჯარიმებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები შემდეგი ოდენობით: მოქალაქეებს — 10 მანეთამდე, თანამდებობის პირებს — 30 მანეთამდე, თუ ეს დარღვევა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

— ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გასცენ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისაგან და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე კომპენსაცია მოქმედი წესით ფილოქსერასთან ბრძოლის მიზნით ლიკვიდირებული საკუთარფესვიანი ვაზის ნარგავებისათვის, აგრეთვე კარტოფილის ნემატოდით ან კარტოფილის კიბოთი დასენიანებული კარტოფილის ჩამორთმევისა და მოსპობისათვის;

— დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის საჭირო მოწყობილობის გამოყოფა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურის ორგანიზაციების აღსაჭურვად.

11. იმასთან დაკავშირებით, რომ „სსრ კავშირში მცენარეთა კარანტინის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 ივლისის № 656 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა სსრ კავშირის მთავრობის მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად, დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციასთან ერთად წარმოადგინოს რესპუბლიკის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯიოევანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 ოქტომბერი, № 721.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979
წლის 6 ივლისის № 656 დადგენილებით

ნუსხა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 20 ნოემბრის № 2598 დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო და ტყის მავნებლების შემოტანისა და გავრცელებისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1934 წ., № 58, მუხ. 436).

2. „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან ტყის დაცვისა და ტყის ნარგავების მთავარი სამმართველოს შექმნისა და წყლის დაცვის ზონის გამოყოფის შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 2 ივლისის დადგენილებასთან და „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ტყის დაცვისა და ტყის ნარგავების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 2 ნოემბრის № 1186 დადგენილების II განაყოფის მე-6 პუნქტი (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1938 წ. № 50, მუხ. 280).

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს 1941 წლის 12 თებერვლის № 217 დადგენილება „ფილოქსერის მიერ ნაწილობრივ დასენიანებულ მევენახეობის რაიონებში მისი ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 20 ოქტომბრის № 3580 დადგენილება „კარტოფილის კიბოსთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 6 ოქტომბრის № 3786 დადგენილება „სსრ კავშირში შემოტანილი თესლის, მცენარეების, სოფლის მეურნეობისა და ტყის პროდუქციის გარეგანი კარანტინის შესახებ“.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 9 თებერვლის № 485 დადგენილება „ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში ფარიანასა და სხვა მავნე მწერებისაგან მწვანე ნარგავების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 14 აგვისტოს № 3512 დადგენილება „კარტოფილის კიბოსთან ბრძოლის ღონისძიებათა არადამაკმაყოფილებელი შესრულების შესახებ“, გარდა მე-7 პუნქტისა.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 6 მარტის № 708 დადგენილება „კარტოფილის ნემატოდასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 ნოემბრის № 12289 განკარგულება.

10. „ადმინისტრაციული წესით დადებული ჯარიმების გამოყენების შეზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღუდვასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 3 ივნისის № 612 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ცვლილებების მე-4 და მე-7 პუნქტები (სსრკ დადგ. კრებ., 1963 წ., № 12, მუხ. 121).

11. „საბჭოთა მილიციის შესახებ ახალი დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 ივლისის № 836 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ცვლილებების მე-2 პუნქტი.

---

91 „საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 16 ოქტომბრის № 940 დადგენილების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 16 ოქტომბრის № 940 დადგენილებით:

ა) დაამტკიცა თანდართული დებულება საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ;

ბ) დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეიმუშაონ და დაამტკიცონ 6 თვის ვადაში ინსტრუქცია გადასაცემი საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, შენობებისა და ნაგებობებისათვის ანგარიშსწორების წესის შესახებ, აგრეთვე იმ სახსრების გამოყენების წესის შესახებ, რომელთაც მიიღებენ სახელმწიფო ორგანოები კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან მათთვის გადაცემული სახელმწიფო ქონებისათვის;

გ) ძალადაკარგულად ჩათვალა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებული წინადადებანი საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის დებულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-4 პუნქტის პირველი აბზაცისა და მე-7 პუნქტის უკანასკნელი აბზაცის გამო;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ აღნიშნული დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგულ გადაწყვეტილებათა ნუსხა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 ოქტომბერი, № 722.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979
წლის 16 ოქტომბრის № 940
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ

1. სახელმწიფო საწარმოებს, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, საწარმოო-აგრარულ, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ანალოგიურ გაერთიანებებს (კომბინატებს), აგრეთვე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გადასცემენ:

ა) საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკურ და ადგილობრივ დაქვემდებარებაში:

საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებათა საფუძველზე სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროსთან, სახელმწიფო კომიტეტთან და უწყებასთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო სსრ კავშირის ერთსა და იმავე სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების სისტემაში — სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი და უწყება შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან (ან, მისი დავალებით, რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოსთან) შეთანხმებით, რაც შემდგომ ეცნობებათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აგრეთვე სკოლამდელ, სკოლისგარეშე და სხვა საბავშვო დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს — სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან (ან, მისი დავალებით, რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოსთან) შეთანხმებით, რაც შემდგომ ეცნობებათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

ბ) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებიდან საკავშირო დაქვემდებარებაში:

„რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებიდან საკავშირო დაქვემდებარებაში საწარმოთა და გაერთიანებათა გადაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 8 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საწარმოებსა და გაერთიანებებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგენით, ხოლო საცდელ (ექსპერიმენტულ) საწარმოებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო;

ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

წინადადებებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებიდან საკავშირო დაქვემდებარებაში საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გადაცემის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგენენ სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აგრეთვე სკოლამდელ, სკოლისგარეშე და სხვა საბავშვო დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს — შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო (ან, მისი დავალებით, რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანო) სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რაც შემდგომ ეცნობებათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

გ) სსრ კავშირის ერთი სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების დაქვემდებარებიდან სსრ კავშირის მეორე სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების დაქვემდებარებაში — სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გადაწყვეტილებით, რაც შემდგომ ეცნობებათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს;

დ) ერთი სახელმწიფო ორგანოს გამგებლობიდან მეორე სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში, რომელიც სსრ კავშირის იმავე სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტს, უწყებას ექვემდებარება, — სსრ კავშირის ამ სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის, უწყების გადაწყვეტილებით.

2. სახელმწიფო საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სტრუქტურული ქვედანაყოფების (საწარმოო ერთეულების, საამქროების, უბნების, ფილიალების, განყოფილებების და ა. შ.) გადაცემა ხდება შესაბამის სახელმწიფო საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გადაცემისათვის ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებიდან საკავშირო დაქვემდებარებაში სახელმწიფო საწარმოთა და გაერთიანებათა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს გადასცემს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებიდან საკავშირო დაქვემდებარებაში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო საწარმოთა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს გადასცემს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო (ან, მისი დავალებით, რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანო) სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რაც შემდგომ ეცნობებათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

3. შენობებსა და ნაგებობებს გადასცემენ:

სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები რესპუბლიკურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს — სსრ კავშირის ამ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გადაწყვეტილებით, რაც წინასწარ შეუთანხმდება შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (ან, მისი დავალებით, რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოს);

რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს — შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (ან, მისი დავალებით, რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოს) გადაწყვეტილებით, რაც წინასწარ შეუთანხმდება სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს;

სსრ კავშირის ერთი სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი და უწყება სსრ კავშირის მეორე სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტსა და უწყებას — სსრ კავშირის ამ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გადაწყვეტილებით;

სსრ კავშირის ერთსა და იმავე სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის, უწყების საკავშირო დაქვემდებარების ერთი საწარმო, გაერთიანება, ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაცია და დაწესებულება საკავშირო დაქვემდებარების მეორე საწარმოს, გაერთიანებას, ორგანიზაციასა და დაწესებულებას — სსრ კავშირის ამ სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების გადაწყვეტილებით.

4. ერთი და იგივე მოკავშირე რესპუბლიკის ერთი სახელმწიფო ორგანოს მიერ მეორე სახელმწიფო ორგანოსათვის საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, შენობებსა და ნაგებობებს მეორე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს გადასცემენ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებით. საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გადაცემის შესახებ ეცნობებათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

გადაწყვეტილებანი მოკავშირე რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის ან უწყების სისტემაში შემავალ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ერთი და იგივე მოკავშირე რესპუბლიკის ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ წინასწარ შეუთანხმდება სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტს ან უწყებას.

5. ერთი სახელმწიფო ორგანოს გამგებლობიდან მეორე სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გადაცემისას მთელი მათი ქონება გადაიცემა უსასყიდლოდ. ერთი სახელმწიფო ორგანო მეორე სახელმწიფო ორგანოს ცალკეულ შენობებსა და ნაგებობებს გადასცემს ასევე უსასყიდლოდ.

6. ერთი სახელმწიფო ორგანოს გამგებლობიდან მეორე სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში საწარმოები, გაერთიანებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები გადაიცემა ყველა მათი აქტივითა და პასივით, მათთვის დაწესებული წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, შრომის, საფინანსო გეგმებით, მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებებით, თანამდებობრივი სარგოების პერსონალური დანამატების ფონდებით, აგრეთვე სხვა დაწესებული ლიმიტებით, დავალებებითა და ნორმატივებით, ხოლო მშენებლობადაუმთავრებელი ობიექტების გადაცემისას — აგრეთვე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

ერთი სახელმწიფო ორგანო მეორე სახელმწიფო ორგანოს შენობებსა და ნაგებობებს გადასცემს მათი მომსახურებისათვის საჭირო ფონდებით, ლიმიტებითა და ასიგნებებით, ხოლო მშენებლობადაუმთავრებელ შენობებსა და ნაგებობებს — კაპიტალური მშენებლობისა და დაფინანსების გეგმებით, მასალებისა და მოწყობილობის ფონდებით და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადასცემენ კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ამ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით) და მიიღებენ მათგან საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნებართვით გადაცემაში მონაწილე სახელმწიფო ორგანოს დაქვემდებარების შესაბამისად.

სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს უფლება აქვთ გადასცენ კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ამ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით) და მიიღონ მათგან შენობები და ნაგებობანი.

რესპუბლიკების სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადასცემენ კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მიიღებენ მათგან შენობებსა და ნაგებობებს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

8. სახელმწიფო ორგანოების მიერ კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ან კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ორგანოებისათვის საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა გადაცემისას საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მთელი ქონება, აგრეთვე ცალკეული შენობები და ნაგებობანი გადაიცემა საფასურით, თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი არ არის სხვა წესი.

სახელმწიფო ორგანოები გადასცემენ კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უსასყიდლოდ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ქონებას, აგრეთვე ცალკეულ შენობებსა და ნაგებობებს, რომლებიც წინათ შეიძინეს კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საკუთარი სახსრებით, შემდეგ კი გადასცეს უსასყიდლოდ სახელმწიფო ორგანოებს.

კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ორგანოებისათვის გადასაცემი საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონების, აგრეთვე ცალკეული შენობებისა და ნაგებობების ღირებულება ანაზღაურდება მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც შექმნეს ან შეიძინეს კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საკუთარი სახსრებით.

9. სახელმწიფო ორგანოების მიერ კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადასაცემი საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონების, აგრეთვე ცალკეული შენობებისა და ნაგებობების ღირებულება ანაზღაურდება გადაცემის დღიდან ერთი წლის ვადაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ საჭირო შემთხვევებში გააგრძელონ 5 წლამდე ვადით კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადასაცემი რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონების, აგრეთვე ცალკეული შენობებისა და ნაგებობების ღირებულების ანაზღაურება.

კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ორგანოებისათვის გადასაცემი საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონების, აგრეთვე ცალკეული შენობებისა და ნაგებობების ღირებულება ანაზღაურდება ხუთი წლის ვადაში, თუ კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებთან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შეთანხმებით დაწესებული არ არის უფრო მოკლე ვადა.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ გადასაცემ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა საბრუნავ სახსრებს მიკუთვნებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი და ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მატერიალური მარაგი ანაზღაურდება მათი ფაქტიური გადაცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

10. სახელმწიფო ორგანოების მიერ კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ან კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ორგანოებისათვის გადასაცემ საწარმოებზე, გაერთიანებებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე, აგრეთვე შენობებსა და ნაგებობებზე რიცხული მთელი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება რჩება გადამცემ ორგანიზაციას (ორგანოს).

11. სახელმწიფო ორგანოების მიერ კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ან კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ორგანოებისათვის საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემისას საკრედიტო დაწესებულებები მოვალენი არიან გადასინჯონ გადამცემი ორგანიზაციის (ორგანოს) მიერ კაპიტალური დანახარჯებისათვის მიღებული სესხების დაფარვის ვადები გადაცემული საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონების, აგრეთვე ცალკეული შენობებისა და ნაგებობების მიმღები ორგანიზაციის (ორგანოს) მიერ ღირებულების ანაზღაურების ვადების შესაბამისად.

12. ამ დებულებით დადგენილი შენობებისა და ნაგებობების გადაცემის წესი გამოიყენება აგრეთვე მშენებლობადაუმთავრებელი შენობებისა და ნაგებობების გადაცემისას.

13. საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითად ფონდებს მიკუთვნებული ქონების ღირებულების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მიერ კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციებისაგან მიღებული ცალკეული შენობებისა და ნაგებობების ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღება კაპიტალური დაბანდებების ასიგნებებიდან, ხოლო საბრუნავ სახსრებს მიკუთვნებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა — საკუთარი საბრუნავი სახსრების მატების დაფინანსების ასიგნებებიდან.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979
წლის 16 ოქტომბრის № 940
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. მე-17 პუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 12 ივნისის № 445 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი საწარმოო დაკრედიტების ფონდის წარმოქმნის წესის, კოლმეურნეობათა დაკრედიტების წესში და საკრედიტო სისტემასთან მათ ურთიერთობაში ცვლილებების შესახებ“ (სსრკ კანონთა კრებული, 1931 წ., № 38, მუხ. 272).

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 თებერვლის № 254 დადგენილება „სახელმწიფო საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ“ (სსრკ კანონთა კრებული, 1936 წ., № 11, მუხ. 93).

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 5 მაისის № 667 დადგენილება „გადასაცემი საწარმოების, შენობებისა და ნაგებობებისათვის სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერაციულ (საზოგადოებრივ) ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1940 წ., № 15. მუხ. 364).

4. 36-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ნოემბრის № 2445 დადგენილებისა „ქალაქებსა და დაბებში სასურსათო და სამრეწველო საქონლის კოოპერაციული ვაჭრობის გაშლის და კოოპერაციული საწარმოებისა მიერ სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ“ იმ ნაწილში, რომლითაც აკრძალულია სამომხმარებლო კოოპერაციის კუთვნილ საწარმოთა და შენობათა გადაცემა სხვა უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 დეკემბრის № 5075 დადგენილება „სავაჭრო ბანკის 1951 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“.

6. მე-10 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 15 ოქტომბრის № 3963 დადგენილებისა „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროს სასოფლო-სამეურნეო საფქვავი საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 ივნისის № 1501 დადგენილება „როსტოვის ოლქში ციმლიანსკის წყალსაცავის გამოყენების ბაზაზე მსხვილი სარწყავი არხებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის შეწყვეტის და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროსათვის ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურის გადაცემის შესახებ".

8. მე-17 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 24 ნოემბრის № 2848 დადგენილებისა „უკრაინის სსრ სტანისლავის, დროგობიჩის, იმიერკარპატის, ჩერნოვიცის, ვოლინის, ლვოვის, როვნოს, ტერნოპოლისა და იზმაილის ოლქების კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ".

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 6 იანვრის № 21 დადგენილება „სასკოლო შენობათა გადაცემის წესის შესახებ".

10. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 808 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის ზოგიერთი მიმდინარე საკითხის გადაწყვეტის გადაცემის შესახებ".

11. „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის — „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები" 72-ე პუნქტის მეორე აბზაცი და 74-ე პუნქტი, აგრეთვე ამ დებულების 72-ე პუნქტის პირველი აბზაცი საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის ნაწილში.

12. მე-11 და მე-14 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრების ზოგიერთი დამატებითი უფლების შესახებ".

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 30 აგვისტოს № 6345 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-11 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა მინიჭების ნაწილში.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 8 სექტემბრის № 6594 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების მინიჭების ნაწილში.

15. მე-7 და მე-15 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 18 მაისის № 660 დადგენილებით დამტკიცებული იმ ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, საწარმოთა დირექტორების უფლებათა გაფართოებასთან და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლასთან დაკავშირებით.

16. 23-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის აპრილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 461 დადგენილებისა „მოსკოვის ოლქში მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-11 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების მინიჭების ნაწილში.

17. 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 აპრილის № 462 დადგენილებისა „ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მთავარლენინგრადმშენის უფროსის უფლებათა გაფართოების შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-11 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების მინიჭების ნაწილში.

18. 37-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 1041 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზოგიერთი საკითხის დამატებით გადაცემის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1957 წ., № 10, მუხ. 105) სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა გადაცემის ნაწილში.

19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 სექტემბრის № 3140 განკარგულების 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-11 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების მინიჭების ნაწილში.

20. მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ივნისის № 693 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხის დამატებით გადაცემის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1959 წ., № 13, მუხ. 81).

21. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 26 აგვისტოს № 986 დადგენილება „სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ რესპუბლიკურ და ადგილობრივ დაქვემდებარებაში სავაჭრო საწარმოთა გადაცემის წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1959 წ., № 17, მუხ. 129).

22. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 იანვრის № 43 დადგენილებისა „ქალაქ ვლადივოსტოკის განვითარების შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-11 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების მინიჭების ნაწილში.

23. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 თებერვლის № 621 განკარგულება.

24. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 მარტის № 841 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების მინიჭების ნაწილში.

25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 მარტის № 332 დადგენილება „გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა შეწყვეტის ან შეკვეცისას დროებით შენობათა და ნაგებობათა გადაცემისა და ლიკვიდაციის წესის შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1960 წ., № 8, მუხ. 55) დროებით შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის ნაწილში.

26. მე-8 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 აპრილის № 296 დადგენილებისა „სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1961 წ., № 7, მუხ. 55) იმ ნაწილში, რომ სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარეზე გავრცელდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 808 დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლება.

27. მე-10 და 22-ე პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 641 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრების უფლებათა დამატებით გაფართოების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ., № 17, მუხ. 117).

28. მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 5 მარტის № 157 დადგენილებისა „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-საფინანსო ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1971 წ., № 5, მუხ. 37), აგრეთვე ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი შენობათა გადაცემის ნაწილში და „ზ“ ქვეპუნქტი კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების კუთვნილ შენობათა შეძენის ნაწილში.

29. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 ივლისის № 541 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ივნისის № 693 დადგენილების მე-7 პუნქტის შეცვლის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1973 წ., № 17, მუხ. 94).

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 მაისის № 389 დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებიდან საკავშირო დაქვემდებარებაში საწარმოთა და გაერთიანებათა გადაცემის წესის შესახებ“.

---

92 საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერთათვის მაღალი ტიპის პანსიონატის შექმნის შესახებ

ითვალისწინებს რა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერთა რაოდენობის ზრდას, რომელთაც მუდმივი მოვლა-პატრონობა ესაჭიროებათ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შექმნას ქალაქ თბილისში 110-ადგილიანი მაღალი ტიპის პანსიონატი რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერთა მუდმივ საცხოვრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღნიშნული პანსიონატის შექმნის მიზნით გადაეცეს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ თემქის დასახლების პირველ კვარტალში აშენებული ღრმად მოხუცებულთა სახლ-ინტერნატის შენობა, რომლის სასარგებლო ფართობია 5.000 კვადრატული მეტრი, საცხოვრებელი ფართობი — 1.365 კვადრატული მეტრი, საბალანსო ღირებულება — 1.152 ათასი მანეთი.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ (ამჯ. გარდაფხაძე) შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება თბილისის რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატის შესახებ, აგრეთვე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აღნიშნულ პანსიონატში კვებისათვის განკუთვნილი ფულადი ხარჯების ნორმების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 30 ოქტომბერი, № 735

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5. 1979 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/II—80 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 5,5, სააღრიცხვო თაბახი 5,5

შეკვეთა № 1205 უე 04321 ტირაჟი 1750

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

685/36

ეროვნული
ბიბლიოთეკა